საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 6 ოქტომბერი, 2015 წელი.

№187 (7832)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

გოგა ხაინდრავა:

მალე ჩემი ფილმი გამოვა და ყველა დაინახავს, რომ ნაცები ჯოჯოხეთის მოციქულები არიან

2

◎ უსისხლო რევოლუცია

ოქტომბერში უკვე მეორედ

გასილაქდა ნაციონალური კოშმარი!

როცა „ჰოლიდეი ინს“ ანუ ყოფილ სასტუმრო „აჭარას“ მივუახლოვდი, არაფერი მოასწავებდა, რომ მალე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის საარჩევნო ყრილობა სკანდალურ მარათონში გადაიზრდებოდა. ის კი არა, კოლეგებმა სალაღობოდაც გამონახეს დრო და ფონის შესაქმნელად რებუსი გამოაცხვეს – რა საერთო აქვთ პირველკაცობის მაძიებლებსო. როცა პასუხი მოვისმინე – სამივეს ორ-ორი ძმა ჰყავსო, გავიფიქრე – ნეტავი თქვენ, მეტი საფიქრალი რომ არა გაქვთ-მეთქი და აკრედიტაცია გავიარე.

მეორე სართულზე ასვლისა და იქ შეკრებილი ჭრელი საზოგადოებისთვის თვალის შევლებისთანავე წინათგრძნობა დამეუფლა, შეიძლება ფიშტო გავარდეს-მეთქი. მართალია, მთლად ასე არ მომხდარა, მაგრამ დეტექტიურ მოვლენათა ხანგრძლივმა განვითარებამ ახლო წარსული ნამდვილად გაგვახსენა.

ერთი შეხედვით, გამოცანას წარმოადგენდა საკითხი, თუ ვინ გასცა საშვები გასამხედროებული ფორმირებებისა თუ საძმოების წევრებზე (აღარაფერს ვამბობთ მარადმწვანე პოლიტიკოსებზე), რომლებიც დამუხტულ ატმოსფეროში თავს ისე გრძნობდნენ, როგორც თევზი წყალში. ვიმეორებ, ერთი შეხედვით, თორემ არავისთვის არაა საიდუმლო, ვინც. ესაა საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, რომელმაც საკუთარი კანდიდატის ზურგის გასამაგრებლად ტოტალური მობილიზაცია გამოაცხადა, ამიტომ ერთი ამბავის ატეხვა, ვიცე-პრემიერ კალაძის ყრილობაზე დასწრება მთავრობის მხრიდან კობიაშვილის ლობირება და დელეგატებზე ზემოქმედება�ო, უფრო გაღმა შედავების ნაცადი მეთოდია და მეტი არაფერი.

ჯერ ერთი, ენერგეტიკის მინისტრი უეფას სპეციალური ემისრის, თავისი უკრაინელი მეგობრის გრიგორი სურკისის პირადი მიწვევით ესწრებოდა ფორუმს, რაც შესაბამისი ფირმანის აფრიალებით დაუდასტურა ჩვენს აბეზარ, ვითომ ნეიტრალურ კოლეგებს.

იხ. 7 გვ.

ხულიგნებს საკაღრისი მიეზღათ

ძუთაისის საქალაქო სასამართლომ ნაციონალური მოძრაობის დაკავებულ აქტივისტებს აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა მიუსაჯა.

სასამართლო პროცესზე გადაწყვეტილების გამოცხადებას ხმაური მოჰყვა. დაკავებულების ახლობლებმა სხდომაზე ყვირილი ატეხეს და პატიმრობის გადაწყვეტილება გააპროტესტეს.

ნაციონალური მოძრაობისა და „თავისუფალი ზონის“ სამი წარმომადგენელი 2 ოქტომბერს პარლამენტის წინ მომხდარი ინციდენტის დროს დაეკავეს. მათ დეპუტატ დავით ლორთქიფანიძეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

სასამართლოს გადაწყვეტილებების რევიზიას პარლამენტი არ დაუშვებს!

დეპუტატ ეკა ბესელიას განცხადებით, პარლამენტი სასამართლო გადაწყვეტილებების რევიზიას ვერ და არ განახორციელებს.

ასე უპასუხა ბესელიამ პარლამენტის ბიუროს სხდომაზე ნაციონალური მოძრაობის განცხადებას, რომელიც მათი სამი მხადამჭერისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდებასა და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით პარლამენტის მიერ სპეციალური რეზოლუციის მიღებას ეხებოდა.

„სასამართლოს გადაწყვეტილება არის ისეთი, როგორსაც სამართალი ითხოვს. ვის როდის, რა დოზით, რა ფორმით, რა მოცულობით, რას შეუფარდებს – ამის რევიზიას აქ ვერ და არ გავაკეთებთ. არ ვიცი, როდის იყავით თქვენ იმის წინააღმდეგ, რაც კობა დავითაშვილის, ზურაბ აბაშიძისა თუ ვალერი გელაშვილის მიმართ მოხდა. ჩვენ ვიცით ის, რომ თქვენი მაშინდელი სამი კოლეგა ძვლივს გადაურჩა სიკვდილს. ჩვენ არავისთვის არ გვინდა ამგვარი რამ და არც წიწილებიანი, თუ დაჩიტულკვერცხებიანი ფორმის საგნების სროლა“, – მიმართა ბესელიამ ოპოზიციონერ კოლეგებს...

როცა ბევრს შია, პრემიებზე ლაპარაკიც კი სირცხვილია!

5

4

სოფელი თუ არ ავაშენეთ, ისე ვერ გალონიერდება!

სოფლის მეურნეობის მართვას კვალიფიციური კადრები ესაჭიროება

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ინფორმაცია

ღირს, ნამდვილად ღირს ყურძნის მოყვანა!

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და მთავრობის წევრებმა, შვილებთან ერთად, კახეთში, რთველში მიიღეს მონაწილეობა.

მთავრობის მეთაურმა და მინისტრებმა, ყურძენი გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაჩნაძიანში, კომპანია „ხარებას“ ვენახებში დაკრიფეს. პრემიერი ასევე კახელ მევენახეებს ესაუბრა და რთვლის შესახებ მათი მოსაზრება მოისმინა. ირაკლი ღარიბაშვილმა მევენახეებთან საუბრისას აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მხრიდან, ყურძნის სუბსიდირებასთან დაკავშირებით, არასწორი ინფორმაცია გავრცელდა.

„მთავრობა, უკვე მესამე წელია, ერთსა და იმავე სუბსიდიას გასცემს - თეთრ ყურძენზე - 35 თეთრის, ხოლო საფერავზე - 15 თეთრის ოდენობით. ჩვენი მთავრობის პირობებში, ყურძენს ფასი დაედო, 4 000 ჰექტარზე მეტი ახალი ვენახი გაშენდა, რადგან გლეხს მოტივაცია გაუჩნდა, რომ ღირს ყურძნის მოყვანა. თუნდაც ამ ვითარებაში, მათ 100%-იანი მოგებით შეუძლიათ, გაყიდონ ყურძენი. მოსავალი გაორმაგებულია. ბოლო სამი წლის განმავლობაში, ყურძნის რეალიზაციის შედეგად, 300 მილიონი ლარი შემოვიდა კახეთში“, — განაცხადა პრემიერმა მევენახეებთან საუბრისას.

„ყვითელი ავტობუსები“ მომავალი წლიდან შეიცვლება

თბილისში ე.წ, ყვითელი ავტობუსების ახლით შეცვლა მომავალი წლიდან დაიწყება. როგორც თბილისის მერის მოადგილემ ირაკლი ლექვინაძემ განაცხადა, დედაქალაქის ავტოპარკი სრულად, თუმცა დროში გაწერილი სქემის მიხედვით განახლდება.

„საზოგადოებრივ ტრანსპორტთან დაკავშირებით უკვე რამდენიმე თვეა, აქტიურად ვმუშაობთ „იბიარდისთან“. გვაქვს სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მხარდაჭერაც და მომავალი წლის გარკვეულ პერიოდში თბილისში გვეყოლება ახალი საზოგადოებრივი ტრანსპორტი“, — აღნიშნა ლექვინაძემ.

მისივე თქმით, იგეგმება თბილისში არსებული ავტოპარკის სრულად შეცვლა , თუმცა დროში გაწერილი სქემით.

მძინარეს თოფი როგორ გაუვარდაო?

გარდაცვლილი ჯარისკაცის თამაზ თამარაშვილის ახლობლები თვითმკვლელობის ვერსიას არ ეთანხმებიან. გარდაცვლილის ახლობლები სამხედრო ნაწილის მეთაურობას უყურადღებობაში ადანაშაულებენ.

როგორც ჯარისკაცის დედა მაყვალა ჩიტიშვილი აცხადებს, ჯარისკაცი სტაციონარში დროულად არ გაიყვანეს.

„იწვა და გაუვარდაო, ასე გვითხრეს მწოლიარეს როგორ გაუვარდა და გულში მოხვდა? თან ეძინა? თქვენ გჯერათ ამის?“ — აცხადებს გარდაცვლილის დედა.

ჯარისკაცის მეუღლე მანანა აკოფია თვითმკვლელობის ვერსიას გამორიცხავს.

მისი თქმით, სისხლიგან რომ დაიცალა და მოკვდა მერე გადაიყვანეს სტაციონარში, „მანამდე ყაზარმაში ერთი კაციც კი არ იყო“.

გარდაცვლილი ჯარისკაცი დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გრემისხევში გადაასვენეს.

საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-ნ ბრიგადის სამხედრო ტერიტორიაზე, მე-ნ ქვეითი ბრიგადის ჰაერსაწინააღმდეგო ასეულის, | კლასის რიგითი თამაზ ვაჟას ძე თამარაშვილი გარდაიცვალა.

თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, ჯარისკაცის გარდაცვალების ფაქტზე დაწყებულია გამოძიება და მისი შედეგები საზოგადოებას უახლოეს მომავალში ეცნობება. საქმეს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიცია იძიებს.

თავდაცვის სამინისტრო ჯარისკაცის გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს და თამაზ თამარაშვილის ოჯახს სამძიმარს უცხადებს.

◎ მართალს ვიტყვი!

გოგა ხაინდრავა: მაღე ჩემი ფილმი გამოვა და ყველა დაინახავს, რომ ნახევი ჯოჯოხეთის მოხიქულები არიან

„ბოლო 25 წლის განმავლობაში საქართველოს ისტორიაში ყველაზე მშვიდობიანი 3 წელიწადი“, — ასე აფასებს რეჟისორი გოგა ხაინდრავა „ქართული ოცნების“ მმართველობის 3-წლიან პერიოდს. ხელისუფლების მიღწევებზე, წარმატებებზე, გამოწვევებზე, ყოფილი მაღალჩინოსნების შეწყალების საკითხზე, მედიის თავისუფლებასა და სხვა აქტუალურ საკითხებზე ხაინდრავა „რეპორტიორს“ ესაუბრა.



— ის, რომ ამ სამი წლის განმავლობაში მშვიდობიანად ვიცხოვრეთ და არც ყუმბარები დაგვცემია თავზე და არც ტერიტორიები დაგვიკარგავს, მეტყველებს იმაზე, რომ უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში ყველაზე მშვიდობიანი პერიოდი ჰქონდა საქართველოს. რთულ ვითარებაში ჩაიბარა ახალმა ხელისუფლებამ ქვეყანა. ფაქტობრივად, დანგრეული და მორალურად განადგურებული, დაშინებული და დატერორებული საზოგადოებით... მოლოდინი ბევრად უფრო დიდი იყო, ვიდრე შესაძლებლობა ჰქონდა ქვეყანას და ხელისუფლებას. ეკონომიკური მდგომარეობა რთულია, ლარის კურსის ვარდნამ სერიოზული პრობლემები შექმნა საზოგადოებაში. ობიექტური თუ სუბიექტური, ეს სხვა თემაა, ვფიქრობ, აქაც საბოტაჟის მომენტი იყო ყოფილი მმართველი ძალების მხრიდან. მათი გავლენები, სამწუხაროდ, დღემდე შემორჩენილია და არც არის გასაკვირი, რადგან ისინი დასავლეთიდან „იკვებებიან“. რაც შეეხება საგარეო კურსს, დღეს არც ამერიკაზე ვართ გადაბმული და არც რუსეთზე, ლავირების და გარკვეული ბეწვის ხიდზე გავლის პრეცედენტის წინაშე ვდგავართ და ეს ძალიან სასიხარულოა.

— „ქართული ოცნების“ მმართველობის შეცდომებზე რას იტყოდით? ასევე, რომელ რეფორმას მიიჩნევთ ყველაზე წარმატებულად?

— შეცდომები, გადაცდომები, ხარვეზები ნებისმიერ ადამიანს აქვს, ასეა ეს ხელისუფლებაც და ნებისმიერ ხელისუფლებას ექნება. ყველაზე წარმატებული რეფორმა, რაც გატარდა, ვფიქრობ, ეს იყო ჯანდაცვის რეფორმა. პრაქტიკულად, ადამიანებს დაუბრუნდათ სიცოცხლის უფლება. ისინი დარწმუნებულები არიან, რომ სახელწიფო მათზე ზრუნავს. აღარაფერს ვსაუბრობ C ჰეპატიტის პროგრამაზე, რომელმაც სასიკვდილოდ განწირული გააცოცხლა.

სირთულეებია და ვფიქრობ, საზოგადოების ყველაზე დიდ უკმაყოფილებას იწვევს პროკურატურაში გაჭიანურებული საქმეები, სამართლიანობის აღდგენის პროცესი, რომელიც ძალიან გაიწელა. ვხედავთ, რომ დაუსჯელობამ უკმაყოფილება გამოიწვია, რადგან ეს ადამიანები ხელისუფლების ნაწილად აღიქმებიან და რეალურად, ძალიან ბევრი დანაშაული აქვთ ჩადენილი. ეკონომიკური სიდუხჭირის ფონზე, ეს უკმაყოფილება კიდევ იზრდება. საერთო ჯამში, ყველაზე წარმატებული პერიოდი ჰქონდა სახელმწიფოს ბოლო წლების განმავლობაში. საზოგადოებას კი პრობლემები აქვს: დასაქმება, ეკონომიკური მდგომარეობა, სიდუხჭირე. უამრავი პრობლემაა გადაუჭრელი.

— ბოლო დღეებში, აქტუალური გახდა მედიის დამოუკიდებლობის საკითხი. კერძოდ, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ხელმძღვანელობის ბრალდება ხელისუფლების მისამართით, რომ ადგილი აქვს თავისუფალი მედიის საქმიანობაში ჩარევას და შეზღუდვას. თქვენი მოსაზრებით, რამდენად დასაშვები და რეალურია ეს?

— ჩემი დამოკიდებულება ბევრჯერ მაქვს გაცხადებული. ყველა საროსკიპო ისე ამთავრებს, როგორც ეს საროსკიპო. „რუსთავი-2“ — ეს არის თაღლითების თავყრილობა, არა მარტო სატელევიზიო, არამედ კრიმინალი თაღლითების თავყრილობა, რომელიც ცდილობს, საკუთარი რუპორით მოწამლოს საზოგადოება. ეს ტელევიზია ცდილობს, მოსპოს ყველაფერი პოზიტიური, ეს არის მისი დანიშნულება. არანაირი კავშირი არ აქვთ მათ ნამდვილ ტელევიზიასთან. ახლა რომ მიხვდნენ, სხვა დრო მოვიდა

მინდა, დავაწყნარო ყველა, რომ ყველაფერი კარგად იქნება... ნაციონალური მოძრაობა მოკვდა დაბადებამდე, რადგან მისი დაბადება იყო ბოროტებაზე აგებული. დიდხანს სიცოცხლე კი ბოროტებას არ უწერია!

და დაიწყო სამართლიანობის აღდგენა-დამკვიდრება, უცებ დაფაცურდნენ ეს ბნელი ძალები. მაინტერესებს, ვისია იმ კომპანიის აქციების 51 %, რომელსაც ტელეკომპანია „საქართველო“ ჰქვია — ღირსეული სახელი, თუმცა მის უკან ძალიან უღირსი ადამიანები იმალებიან. იყო მცდელობა, რომ ეს წილები გადაფორმებულიყო კეზერაშვილის ცოლისძმაზე. ახლა აქტიურად ცდილობენ გადაარჩინონ ეს შხამქიმიკატების კომბინატი, რასაც „რუსთავი-2“ ჰქვია. ძნელად წარმომიდგენია საქართველოში ადამიანი, რომელიც „რუსთავი-2“-ს განიხილავს როგორც მედიას.

— შევეხოთ მერაბიშვილ-ახალაია-უგულავას შეწყალების საკითხს. არ გამორიცხავენ, რომ პრეზიდენტმა მათი შეწყალების აქტს მოაწეროს ხელი...

— მარგველაშვილს კარგად ვიცნობ. შესაძლოა, ბევრი მისი ნაბიჯი საკამათოა, მაგრამ სრულ ჭკუაზე მყოფი ადამიანი და საკმაოდ პრაგმატული კაცია. არ მგონია, მან შიზოფრენიის იმ სტადიაში შეაბიჯოს და შეიწყალოს ეს ბოროტმოქმედები, რომლებმაც მთელ საქართველოს ავნეს. რას წარმოადგენს მერაბიშვილი, უგულავა თუ ახალაია, ყველამ კარგად იცის. თუ ვინმეს ეჭვი ეპარება, მალე ჩემი ფილმი გამოვა და ყველა დაინახავს, რომ ეგენი არიან ჯოჯოხეთის მოციქულები. თუმცა მათ შესახებ ყველამ ყველაფერი იცის. ამ დაჯგუფებას რა რაოდენობის ფული აქვს მიტაცებული საქართველოში, ყველამ ვიცით. კეზერაშვილს, რომელიც კალოშებით არის მოსული პოლიტიკაში, 1 მილიარდ 200 მილიონი აღმოაჩნდა, ლონდონში პრესტიჟულ უბანში სახლი აქვს და „რუსთავი-2“-ის ყიდვასაც აპირებდა... საქართველოში ძალიან კარგი პროცესები მიდის, ყველაფერს თავისი სახელი ერქმევა... რაც უფრო გახსნილი იქნება ეს პროცესი, მით უკეთესი. სიბნელეში ვცხოვრობდით და სიბნელიდან გამოსვლას ვიწყებთ.

— აკაკი ბობოხიძემ მოსახლეობას მოუწოდა, პასუხი აგებინონ საკუთარ მეზობლებს, „ქართული ოცნების“ აგიტატორებს, იმ ადამიანებს, ვინც ისინი შეცდომაში შეიყვანა და ხმა მიაცემინა „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს სამოქალაქო დაპირისპირებისკენ მოწოდებაა?

— ბობოხიძის და მისნაირების პრობლემაა „ქართული ოცნება“. მათი პრობლემაა ის საზოგადოებაც, რომელმაც კარგად იცის, რომ ისინი არიან ბოროტმოქმედები, ფაშისტები. მათ არანაირი პოლიტიკური მომავალი არ გაჩნიათ. კი, იარსებებენ, მაგრამ არანაირი მომხრეები მათ არ ეყოლებათ. ეს დიდი ილუზიაა, არავითარი მხარდამჭერები არ ჰყავთ. მაგათ ჰყავთ თანამოსაქმეები, რომლებიც ჩართულები იყვნენ ძარცვა-გლეჯაში, კორუფციაში, ადამიანების დამცირებაში. ეს არის გარკვეული ფენა და ამ ფენას დააკლდება, არათუ მოემატება. ბობოხიძეს რაც უნდა, ის ილაპარაკოს, მაგრამ დარჩება თავის წუმპე-ჭაობში, რომელსაც „ნაცმოძრაობა“ ჰქვია. ვამბობ, მათი პოლიტიკური მომავალი საქართველოში არ არსებობს. ვისაც უნდათ, იმას მოუწოდონ... გვაშინებენ, ქუჩაში გადავა პროცესებიო. „ნაცმოძრაობა“ მოკვდა, ის მკვდარია და მკვდარს არაფრის შესაძლებლობა არა აქვს. რაც არ უნდა რეანიმირება გაუკეთონ ექსპერტებმა, მედიამ, საერთაშირისო საზოგადოებაში ჩაბუდებულმა ბნელმა ძალებმა, მკვდრის გაცოცხლებას ვერ შეძლებენ. მინდა, დავაწყნარო ყველა, რომ ყველაფერი კარგად იქნება... ნაციონალური მოძრაობა მოკვდა დაბადებამდე, რადგან მისი დაბადება იყო ბოროტებაზე აგებული. დიდხანს სიცოცხლე კი ბოროტებას არ უწერია!

ესაუბრა
ალა გრიგალაშვილი

◎ მე ასე ვფიქრობ!

უპირველესად ერისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემები გადავჭრათ!

მრავალჯერ მითქვამს და დამიწერია — პრობლემები უნდა დაიყოს პირველ და მეორე რიგში გადასაწყვეტ პრობლემებად. წინამდებარე სტატიაში ამ თემაზე გვექნება საუბარი, ვინაიდან კვლავ გრძელდება იმგვარ სფეროებზე უამრავი ფულის ხარჯვა, რაც შეჭირვების ჟამს, ასე ვთქვათ, ცოტას მოითმენს.

ამჟამინდელი ხელისუფლება სოციალურ სფეროში სოლიდურ თანხას ხარჯავს — შემოიღო უფასო მკურნალობა, გააორმაგა სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა დახმარება. სუბსიდირებას უწევს სოფლის მეურნეობას. რასაკვირველია, ამგვარი მიდგომა ხსენებული სფეროების მიმართებით სწორია, მაგრამ სახელმწიფო, რომელიც არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება, ყველაფერს ვერ გაწვდება. მავანი ამბობს: პლაჟის ფრენბურთის გასავითარებლად ფულია საჭირო, წინააღმდეგ შემთხვევაში სპორტის ეს სახეობა ჩვენში ჩაკვდებაო.

— მსოფლიო პირველობაზე რაგბში საქართველოს ნაკრებმა არგენტინის ნაკრებთან წააგო და ქართველმა ხალხმა, რომ იტყვიან, უმალვე ყურები ჩამოყარა. იმას კი არავინ ამბობს — არგენტინა როგორი ქვეყანაა. ჯერ ერთი, იგი გაცილებით დიდია, ვიდრე საქართველო. იქ საკვები პროდუქტების მხრივ არავითარი პრობლემა არ არსებობს. ზამთარზაფხულ, რომ იტყვიან, წელამდე ბალახი ბიბინებს. პირუტყვისთვის ზამთრის სადგომები არ არსებობს — დღე და ღამე შინაური ცხოველი საძოვარზეა გაშვებული. თუ ჩემი არ გჯერათ, ჰკითხეთ იქ ნამყოფ ქართველებს.

შესაბამისად თითოეული არგენტინელი სრულყოფილად არის უზრუნველყოფილი ნატურალური რძის და ხორცის პროდუქტებით. იქ პრობლემა დგას, თუ სად გაყიდონ სოფლის მეურნეობის პროდუქტები.

ჩვენთან ათასობით ახალგაზრდამ არიცის ნატურალური რძის და ხორცის გემო. ასეთ პირობებში ძნელია ყველა სახეობის სპორტის განვითარება. თუ ასე კიდევ დიდხანს გაგრძელდა, ძნელი გახდება ქართული ჯარის ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდებით შევსება. ისტორიამ იცის იმის მაგალითები, როდესაც სიდუხჭირეში მყოფი მოსახლეობიდან ფიზიკური მონაცემების მოთხოვნილების დაუკმაყოფილების გამო, ჯარში წვევამდელების გაწვევა შეუწყვეტიათ.

სპორტით მეტისმეტი გატაცება ხალხზე ფსიქოლოგიურად დადებითად არ მოქმედებს. საყვარელი გუნდის წაგების შემთხვევაში, გულშემატკივრის შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად ეცემა. საბჭოთა პერიოდში თბილისის ,,დინამო“ რომელიღაც ევროპის ერთ პატარა ქვეყანაში ჩავიდა და წააგო. ადგილობრივი მაცხოვრებლების აბსოლუტურმა უმრავლესობამ არც კი იცოდა ამ მატჩის შესახებ. საქართველოში კი ამ წაგებამ საყოველთაო მწუხარება გამოიწვია.

ამას წინათ ევროპის სახელმწიფოების სპორტულ პაექრობაში აზერბაიჯანმა მეორე ადგილი დაიკავა. გაუსწრო ისეთ სახელმწიფოებს, როგორებიც არიან — ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია და სხვები. არავის შეურაცხყოფას არ ვაყენებ, მაგრამ აზერბაიჯანი ზემოთ ჩამოთვლილ სახელმწიფოებზე მძლავრი არ არის. არაფერი დაშავდებოდა, თუკი აზერბაიჯანი ამ სპორტულ შეჯიბრებაში თავისი სიდიდის და შესაძლებლობის მიხედვით დაიკავებდა ადგილს. შემომედავებიან: ფული აქვთ და ხარჯავენო. ვფიქრობ, მოჭარბებული ფული არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს. თუმცა აზერბაიჯანზე აქ შევწყვეტ საუბარს — მის შინაურ საქმეებში ჩარევა არ დამწამონ.

დღეს საქართველოში ისეთი მდგომარეობაა, რომ საჭიროა პრობლემები დაიყოს პირველ და მეორე რიგში გადასაწყვეტ პრობლემებად.

პირველ რიგში გადასაწყვეტი პრობლემებია: 1. მატერიალური დოვლათის შექმნა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარება; 2. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლება; 3. უკიდურესად გაუარესებული დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორება; 4. ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესება; 5.სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება; 6. მიგრაციის შეჩერება; 7. გამოყენებითი მეცნიერების განვითარება; 8. სამოყვარულო სპორტისა და ფიზკულტურის განვითარება.

რასაკვირველია, ნომერ პირველ პრობლემად დგას ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

მეორე რიგში გადასაწყვეტი პრობლემებია: 1. პროფესიული სპორტის განვითარება; 2. ფესტივალების და შოუების გამართვის ორგანიზება; 3. არაგამოყენებითი მეცნიერების განვითარება; 4. არასაყოფაცხოვრებო ნაგებობათა მშენებლობა.

პროფესიული სპორტი შოუთა კატეგორიას განეკუთვნება და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს. პროფესიულ სპორტზე უამრავი ფული იხარჯება. მაგალითად, ფეხბურთის მწვრთნელის თემურ ქეცბაიას თვიური ხელფასი 209 ათას ლარს შეადგენდა. დაახლოებით ორმოცი მინისტრის თვიური ხელფასია. იგივე ოდენობის ხელფასი აქვთ კალათბურთის, რაგბის, ჭიდაობის და სხვა სპორტული გუნდების მწვრთნელებს. ასე რომ, მარტო მწვრთნელების ხელფასით უზრუნველყოფილი იქნებოდა თანამდებობის პირთა ხელფასები. მხედველობაში მყავს გამგებლებიც.

ყველა პროფესიული გუნდი წლის მნიშვნელოვან დროს წვრთნებს და საკონტროლო შეხვედრებს საზღვარგარეთ ატარებს, რაზედაც ათეულ მილიონობით ლარი იხარჯება. სოლიდური ხელფასი აქვს პროფესიონალ სპორტსმენს. არანაკლები ფული ჯდება სპორტული ფედერაციების შენახვა.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, დღეს რაც პროფესიული სპორტის განვითარებაზე იხარჯება, იმის მეხუთედი საკმარისი იქნებოდა სამოყვარულო სპორტისა და საყოველთაო ფიზკულტურის გასავითარებლად, რაც ხალხის ჯანმრთელობაზეც დადებითად აისახებოდა. თუ პროფესიული სპორტის პირობებში მოსახლეობის გარკვეული ოდენობაა ჩართული და მასზე იხარჯება სახსრები, საყოველთაო ფიზკულტურის განვითარების პირობებში მთელი მოსახლეობა არის ჩართული. ზოგი, ეკონომიკაში გაუთვითცნობიერებელი, ამბობს: ბევრ სპორტულ გუნდს კერძო პირი აფინანსებსო. ჯერ ერთი, საქართველოში დღეს ყველაფერი კერძო მესაკუთრეთა ხელშია. მეორეც, აქ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ საიდან იღებს სპორტული გუნდი დაფინანსებას — ყველაფერი ეროვნულ შემოსავალს აკლდება.

ვეებერთელა და მძლავრი საბჭოთა კავშირიც კი ვერ ბედავდა პროფესიული სპორტის დანერგვას; ხოლო კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი პატარა საქართველო ლამობს სპორტის ყველა სახეობა მსოფლიო დონეზე აიყვანოს. ამას ჰქვია მეტიჩრობა და წამხედურობა.

ეკლესიების მშენებლობის ბუმია საქართველოში. ცნობილია, რომ პეტრე პირველის ბრძანებით ეკლესიებიდან სამრეკლო ზარებს ხსნიდნენ და იქიდან ზარბაზნებს ასხამდნენ; ხოლო ქართველი მეფეები, როდესაც ამას საჭიროება მოითხოვდა, ეკლესიებს ანგრევდნენ და მიღებული სამშენებლო მასალით ციხე-სიმაგრეებს აშენებდნენ. ეს ასე რომ იყო, ვერავინ შემომედავება.

რიყეზე პატარ-პატარა ეკლესიებია; ცოტა მოშორებით ააგეს ეკლესიათა კომპლექსი, ამჟამად მთავრდება მახათას მთაზე გრანდიოზული ეკლესიის მშენებლობა. შემდეგ ვიღაცა იტყვის — მოდით ეკლესია ავაგოთ ცაში — დირიჟაბლების გამოყენებითო. ყველა საერთო ხმას აჰყვება, არავინ დაფიქრდება ქვეყნის შესაძლებლობაზე.

მორწმუნეთა საყურადღებოდ ვამბობ — უზენაესი გვაპატიებს, თუ ქვეყნის ძნელბედობის ჟამს ეკლესიების აშენებას დროებით შევწყვეტთ და მათ მაგივრად ავაშენებთ სახელმწიფოსადმი დაქვემდებარებულ საწარმოებს. ამით ხალხიც გაიხარებს და უზენაესიც კმაყოფილი დარჩება, რამეთუ ღმერთი ხომ სამყაროს საკეთილდღეოდ მოქმედებს, ვითარცა თავის შექმნილ არსზე. ხალხიც ხომ, ასე ვთქვათ, სამყაროს ორგანული ნაწილია.

სხვათა შორის, იმასაც აღვნიშნავ, რომ თვით პატრიარქის თქმით, ინგლისში 95% არ არის მორწმუნე. ჩვენთან კი მოსახლეობის თითქმის 100% მორწმუნეა...

ონისე მწარიაშვილი

◎ წარდგენა

საქვეყნოდ გამორჩეული „ხუთი თითი“

ლატვიის რესპუბლიკის საელჩო ფრიად სასურველ სტუმრებს მასპინძლობდა:

ცნობილ პროზაიკოსს, დრამატურგს, პოეტსა და ესეისტს მარა ზალიტეს და მისი წიგნის „ხუთი თითის“ ქართულად ამმეტყველებელს, ჟურნალისტთა საკავშირო პრემიის ლაურეატს, რესპუბლიკის დამსახურებულ ჟურნალისტს, ღირსების ორდენოსანს მზია კობერიძეს, რომლებიც არც თუ მცირერიცხოვან აუდიტორიას ლატვიურად და ქართულად აცნობდნენ წიგნში გამოქვეყნებულ ცალკეულ ნოველებს.

წიგნი, მისი ავტორი და მთარგმნელი სტუმრებს წარუდგინა და შეხვედრას წარმართავდა ლატვიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ქალბატონი ელიტა გაველე.

მზია კობერიძე, რომელმაც მარა ზალიტეს წიგნი ამჯერად ლატვიელების ქართველი რძლის ნონა ტაურინას თანადგომით გადმოაქართულა, როგორც მთარგმნელი საელჩოს ამ შენობაში პირველად არ იმყოფებოდა, მანამდე მან რამდენიმე რომანი და „ლატვიის ისტორია“ თარგმნა. აუცილებლად აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობათა გაღრმავებაში დიდი წვლილი მიუძღვით მის ლატვიელ რძალსა და ვაჟს, ცნობილი მწერლის, სულგანათლებული ფილიპე ბერიძის შვილს ლევანს, რომელიც ძირითადად რიგაში ცხოვრობს.

კადრი ლატვიის რესპუბლიკის საელჩოში გამართული წიგნის წარდგენიდან

საინტერესოა ზოგიერთი დეტალი წიგნის ავტორის ბიოგრაფიიდანაც. იგი თავისი ნაწარმოების გმირის — 5 წლის ლაურას მსგავსად დღენაკლული და თითქმის განწირული დაიბადა ციმბირის ბანაკში და შიმშილით სიკვდილისაგან ამავე ბანაკში მყოფმა ერთ-ერთმა ქართველმა მეძუძურმა პატიმარმა გადაარჩინა. მისი ცხოვრებიდან აღსანიშნავია საქართველოსთან დაკავშირებული კიდევ ერთი საყურადღებო დეტალი. მრავალი ლიტერატურული ჯილდოს მფლობელ პოეტს ერთ-ერთი პირველი დიდი აღიარება თბილისში ხვდა წილად — 1979 წელს 27 წლის მარა ზალიტეს შემოქმედება პოეტებისათვის ერთ-ერთი გამორჩეული ჯილდოთი — ვლადიმერ მაიაკოვსკის პრემიით აღინიშნა.

მრავალმხრივ საინტერესო წიგნი მარინე ყიფშიძისა და ნინო ნეკერიშვილის რედაქტორობით მიაწოდა მკითხველს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“.

ალექსანდრე შენგელია.
ლევან ბერიძის ფოტო

◎ ინფორმაცია

ირაკლი ბათიაშვილი: ბიძინა ივანიშვილზე თავდასხმა იგეგმება!

სანდო წყაროდან, რომელთანაც ურთიერთობა მქონდა ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან, როდესაც მე ვიყავი საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის თავმჯდომარე, მივიღე ეს ინფორმაცია. ყოფილი ხელისუფლების ემიგრაციაში მყოფ გარკვეულ წრეში მიდის მოსამზადებელი საკმაოდ სერიოზული სამუშაო ბიძინა ივანიშვილის ფიზიკური ლიკვიდაციის, ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით. რაც ჩემთვის ყურადსაღები მომენტია, გარკვეული ჯგუფი უკვე ჩამოსულია აქ წინასწარი სადაზვერვო სამუშაოებისთვის, — ამბობს ბათიაშვილი.

ირაკლი ბათიაშვილს ტელეკომპანია „იმედი“ ესაუბრა, რომლის ინფორმაციით, ბათიაშვილი უკვე დაიკითხა, თუმცა ჯერ გამოძიება არ დაწყებულა.

ინტერპრესი

სოფელი თუ არ ავაშენეთ, ისე ვერ გაღონიერდება!

სოფლის მეურნეობის მართვას კვალიფიციური კადრები ესაჭიროება

სოფლის მეურნეობაში უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა და ახლაც კეთდება. გაიხსნა და მუშაობს ახალი გადამმუშავებელი საწარმოები. ყურადღება გამახვილებულია პროდუქციის ხარისხსა და მის რეალიზაციაზე, მაგრამ უყურადღებოდ არის მიტოვებული მოსახლეობის საჭიროებისთვის აუცილებელი ყოველდღიური საკვები პროდუქტების წარმოება, რის გამო სხვა ქვეყნებიდან შემოგვაქვს კიტრი, პამიდორი, სტაფილო, ჭარხალი, ლობიო, ხორცი და ხორცპროდუქტები, რძე და რძის ნაწარმი, ნიორიც კი ჩინეთიდან და ირანიდან შემოდის. საგულისხმოა, რომ „პური ჩვენი არსობისა“, რომელიც მოსახლეობის ყოველდღიური საკვები პროდუქტია, ხორბლისა და ფქვილის 95%-ზე მეტი სხვა ქვეყნებიდან შემოგვაქვს, რაზედაც ყოველწლიურად ქვეყნიდან გადის 240 მილიონ აშშ დოლარამდე მყარი ვალუტა. ეს ხდება მაშინ, როცა ჩვენი 400 ათასამდე ჰექტარი ნაყოფიერი მიწები, ყოველწლიურად დაუხნავ-დაუთესავი რჩება. საგულისხმოა ისიც, რომ ხორბლის ნათესი ფართობები და საჰექტარო მოსავლიანობა 2000 წლიდან დღემდე ნაცვლად ზრდისა, ყოველწლიურად კლებულობს. გასული წლის შემოდგომაზე, 2015 წლის მოსავლისთვის ხორბალი დაითესა მხოლოდ 50,8 ათას ჰექტარზე. წელს ხორბლის მაღალი მოსავალია და კახეთში, კერძოთ შირაქის მინდორზე, ხორბლის მწარმოებლებმა ჰექტარზე 7-9 ტონა მოსავალი მიიღეს. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ თუ სოფლის მეურნეობის მართვა ხორბლის წარმოებაზე გონივრული იქნება, მაშინ ქვეყანას შეუძლია საკუთარი მოსახლეობისთვის საჭირო რაოდენობის ხორბლით უზრუნველყოფა. აღნიშნული კი განაპირობებს იმას, რომ 240 მილიონი ამერიკული დოლარი, რომელიც ამ ღონისძიებისთვის ყოველწლიურად გადის ქვეყნიდან, ჩვენს მიწათმფლობელებს მოხმარდება. ამასთან, მთელი სიმძლავრით ამუშავდება ხორბლის გადამმუშავებელი საწარმოები და დასაქმდება ასეულობით ადამიანი. ქვეყნის მოსახლეობა კი გარანტირებული იქნება ყოველდღიური სტრატეგიული კვების პროდუქციით და პურის ფასიც შედარებით დაბალი იქნება!

წელს, ხორბლის მოსავლის აღების დროს შირაქში, სოფლის მეურნეობის მინისტრმა ბატონმა ოთარ დანელიამ სატელევიზიო გამოსვლისას აღნიშნა, რომ სამინისტროს შემუშავებული აქვს მარცვლის წარმოების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს 300 ათას ტონამდე ხორბლის წარმოებასო. ეს კარგი საქმეა, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს სრულებით არ არის საკმარისი ამ პროდუქტით მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, რადგან ქვეყანას გააჩნია საჭირო რაოდენობით გამოუყენებელი ნაყოფიერი მიწები, სადაც შესაძლებელია აგროტექნიკის სრული დაცვის პირობებში 600-700 ათას ტონამდე ხორბლის წარმოება.

სამინისტროს ხელმძღვანელობას შევახსენებ, რომ დღეს ხორბლის წარმოება გაადვილებულია, მთლიანად მექანიზებულია და ამ საქმეში ხელით შრომა თითქმის გამორიცხულია. მაშინაც კი როცა საქართველოში ხორბალს ხარ-კამეჩის გამოყენებით თესდნენ, ნამგლით მკიდნენ და კევრით ლეწდნენ, მოსახლეობისთვის საკმარის მარცვლეულს მაინც იღებდნენ. სასურველია, რომ სამინისტროში არსებული მარცვლის წარმოების ზემოხსენებული პროგრამა კვალიფიციურმა სპეციალისტებმა ფართოდ განიხილონ და შეაფასონ, რაც, სამწუხაროდ, დღემდე არ მომხდარა, სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ვერ ვიღებთ სასურველ შედეგს.

2000 წლიდან დღემდე ძალზე დაბალია სასოფლო-სამეურნეო კულტურების საჰექტარო მოსავლიანობა და ამ კულტურების წარმოების მაჩვენებლები. მაგალითად, 2014 წელს ხორბალი წარმოებული იყო მხოლოდ 50,2 ათასი ტონა, ქერი – 31,5; შვრია – 5,6; სიმინდი – 347,2; ბოსტნეული 190,6 ათასი ტონა და ა. შ. ეს მდგომარეობა სხვა მიზეზებთან ერთად გამოწვეულია იმითაც, რომ სატრაქტორო სამუშაოებზე მონიტორინგი და მიწათმფლობელთა ცოდნის ამაღლების მიზნით ტრენინგები კარგა ხანია, არ ჩატარებულა. ამ პრობლემის მოსაგვარებლად ჩვენ მოვამზადეთ შესაბამისი პროგრამა, რომელიც განიხილა და მოიწონა სამინისტროს სამეცნიერო ცენტრის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, შპს „მექანიზატორისა“ და ევროკავშირის საქართველოს წარმომადგენლობის სპეციალისტებმა, მაგრამ ეს პროგრამა უკვე მეორე წელია, სამინისტროში უყურადღებოდ არის დატოვებული. არადა, თუ ეს პროგრამა განხორციელდება, რომლის წლიური ხარჯი სულ 50,0 ათას ლარს არ აღემატება, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება და ხარისხი.

სოფლის მეურნეობის განვითარებას 2012 წლიდან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ახალმა ხელისუფლებამ. უკანასკნელ ორ წელიწადში ამ დარგის განვითარებისა და ფერმერთა და გლეხთა დასახმარებლად 800 მილიონზე მეტია დახარჯული, მაგრამ ამ საშვილიშვილო საქმეში სერიოზულ ხარვეზთა გამო, შედეგი მაინც მოიკოჭლებს. სტატისტიკური მონაცემებით სოფლის მეურნეობის წილი ქვეყნის მთლიან შიდა პოდუქციაში 2007 წელთან შედარებით შემცირებულია და 2012 წელს შეადგინა 8,6%; 2013 წელს 9,4%, ხოლო 2014 წელს 9,2 %, რაც ჩვენის აზრით სოფლის მეურნეობის არასწორი მართვით არის განპირობებული. **სოფლის მეურნეობის სწორი მართვა მაღალპროფესიონალიზმსა და ამ დარგში მომუშავე გამოცდილ სპეციალისტებს მოითხოვს. წელს მა სამინიტროში მომზადდა და გამოიცა – „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წწ.“, რომელიც სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა ფართო წრეში არ განხილულა და ის უფრო ლობუნგების კრებულს წარმოადგენს და არ ემსახურება სოფლად პრობლემების მოგვარებასა და გადაწყვეტას.**

* * *

როგორც ცნობილია მექანიზაციის დარგი ერთ-ერთი წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობაში, რომლის გარეშე შეუძლებელია სოფლის წინსვლა-განვითარება. სამწუხაროდ, ამ დოკუმენტში მექანიზაცია მეორეხარისხოვნად არის წარმოდგენილი და მიჩნეული არ არის სტრატეგიულ მიმართულებად, რაც დიდ შეცდომად მიგვაჩნია და სამინისტროს ხელმძღვანელობის მხრიდან მეტ ყურადღებას, დაფიქრებასა და ამ დარგის გამოცდილ სპეციალისტთა წინადადებების მხარდაჭერას იმსახურებს. აგრეთვე პრიორიტეტულ მიმართულებებში არაფერია ნათქვამი მეაბრეშუმეობის, მეფუტკრეობისა და სეტყვასთან ბრძოლის საკითხებზე.

მინისტრმა ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა, რომ სეტყვასთან ბრძოლის სამუშაოზე უკვე დახარჯულია 15 მილიონი ლარიო, თუმცაღა წლევანდელმა „ბრძოლამ“ ვერ გაამართლა, როგორც ჩანს, ეს მნიშვნელოვანი საქმე არაპროფესიონალთა ხელშია მოქცეული!

ამ საბუთში ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად (3.2) მიჩნეულია ინსტიტუციური მიმართულება, რაც ჩვენს მოწონებას იმსახურებს და ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესებას, პერსონალის მართვასა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის გაუმჯობესებას. შესანიშნავად არის ნათქვამი – „პური მეპურემ უნდა გამოაცხოსო“. სამინისტროს სტრუქტურის გაუმჯობესებისა და კვალიფიციური კადრების შერჩევის საკითხებზე, რასც ეს უწყება უკანასკნელ ათწლეულში მწვავედ განიცდის, ჯერ კიდევ 2013 წლის 11 ივნისს ვრცელი წერილი გამოვაქვეყნე გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“, სადაც მოვუწოდებდი სამინისტროს მაშინდელ ხელმძღვანელობას, გაეტარებინათ ღონისძიებები სამინისტროს აპარატში კვალიფიციური და გამოცდილი კადრების მოზიდვისთვის, რაზედაც მათ არავითარი რეაგირება არ მოუხდენიათ. რაკი დღეს ეს საკითხი სამინისტროს ხელმძღვანელობას ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად მიაჩნიათ, საჭიროა დროულად მოახდინონ რეაგირება, ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაცია მზადაა საჭირო დახმარება აღმოუჩინოს ამ დარგისა და რიგ სხვა პრობლემური საკითხების კვალიფიციურად მოგვარებაში. ბატონმა ოთარ დანელიამ, თავისი მოადგილეებიდან დაწყებული, სამინისტროს აპარატში სამუშაოდ უნდა მიიზიდოს დარგის მაღალკვალიფიციური და უშუალოდ წარმოებაში ნამუშევარი გამოცდილი აგრონომები, მექანიზატორები, მელიორატორები, ვეტერინარი ექიმები, აგროეკონომისტები, რომლებსაც შესწევთ უნარი უხელმძღვანელონ და სწორი მიმართულებით წაიყვანონ ქვეყნისათვის ეს უმნიშვნელოვანესი დარგი.

> **სოფლის მეურნეობის განვითარებას 2012 წლიდან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ახალმა ხელისუფლებამ. უკანასკნელ ორ წელიწადში ამ დარგის განვითარებისა და ფერმერთა და გლეხთა დასახმარებლად 800 მილიონზე მეტია დახარჯული, მაგრამ ამ საშვილიშვილო საქმეში სერიოზულ ხარვეზთა გამო, შედეგი მაინც მოიკოჭლებს.**

გადავიდეთ მექანიზაციის პრობლემურ საკითხებზე. სოფლად მცხოვრები ფართო საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი, რომ მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების გამოყენების გარეშე, სოფლის მეურნეობის ვერც ერთი დარგი ვერ მოგვცემს სასურველ შედეგს. მიუხედავად ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციის ძალისხმევისა, ამ დარგს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება და მისი მართვა არაპროფესიონალთა ხელშია მოქცეული. უკანასკნელ ორ წელიწადში ქვეყანაში არ შემოზიდულა ახალი ტექნიკა და როგორც შევიტყვეთ, მისი შემოტანა არც მომავალ წელს არის გათვალისწინებული, რაც საგრძნობ უარყოფით შედეგს იქონიებს სოფლის მეურნეობს პროდუქციის წარმოებაზე.

ახლა გადავხედოთ რა ტექნიკა და ტექნიკური საშუალებები გაგვაჩნდა გასულ წლებში და რა გვაქვს დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობაში. 1990 წლამდე მუშაობდა 30,0 ათასამდე ტრაქტორი და 1500-მდე მარცვლის ამღები კომბაინი შესაბამისი მანქანა-იარაღებით, რომლითაც მთლიანად უზრუნველყოფილი იყო არსებული ნაყოფიერი მიწების, ჩაის პლანტაციების, ბაღვენახების და სუბტროპიკული კულტურების დამუშავება. ტექნიკის შეუფერხებელი მუშაობისთვის მოქმედებდა 40-მდე სარემონტო სახელოსნო და ოთხი სარემონტო ქარხანა, რომელიც აღჭურვილი იყო საჭირო ჩარხ-დანადგარებით, საგამოცდო სტანდარტებით და მოწყობილობებით. ქვეყანაში არსებობდა მალფუჭებადი დეტალებისა და მარაგნაწილების შემომზიდავი ხუთი ბაზა, რაც ხელს უწყობდა ტექნიკის შეუფერხებელ მუშაობას.

სამწუხაროდ, აღნიშნული ტექნიკური საშუალებები 1990-2000 წლებში სრულიად განადგურდა!.

ამჟამად სოფლის მეურნეობაში მუშაობს მოძველებული 8221 ტრაქტორი, რომლის რესურსი 35-40%-ს არ აღემატება და რამდენიმე ასეული მარცვლის ამღები კომბაინი, გარდა ამისა ფერმერთა მომსაურებისთვის უკანასკნელ წლებში შეიქმნა და მუშაობს შპს „მექანიზატორი“, რომელსაც გაჩნია ახალი ტექნიკა 1083 ტრაქტორი და 91 მარცვლის ამღები კომბაინი. აღნიშნულ ორგანიზაციას ტექნიკური მომსახურების მიზნით შექმნილი აქვს და მოქმედებს მხოლოდ 12 სერვისცენტრი, რომელიც ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შეიარაღებული ტექნიკის სარემონტო სამუშაოების საწარმოებლად.

უკანასკნელ წლებში ამ დარგში მომუშავე არაპროფესიონალებმა საქართველოში შემოიტანეს სხვადასხვა ქვეყნებიდან (ჩინეთი, აშშ, ინგლისი, გერმანია, იტალია, ფინეთი, ჩეხეთი, ბელორუსია და ა. შ.) ახალი ტრაქტორები, კომბაინები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, რომლებსაც ჩვენს პირობებში არ გაუვლიათ საწარმოო გამოცდები და რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში ვერ ამართლებენ და, ამასთან, მკვეთრად არის გაძნელებული მათი რემონტი, ტექნიკური მომსახურება და მალფუჭებადი მარაგნაწილებით უზრუნველყოფა. ამასთან, შემოზიდულია ისეთი ახალი ტექნიკაც, რომლებიც ჩვენს პირობებში საერთოდ ვერ გამოიყენება და წლობით უმოძრაოდ აწყვია სერვისცენტრებში. გარდა ამისა, შესყიდულია 1500 მცირეგაბარიტიანი ტექნიკა, ე. წ. „მოტობლოკები“, რომლებიც ორი წელია გამოუყენებლად ინახება შპს „მექანიზატორის“ ორხვის ბაზაში, მაშინ როცა ამ ტექნიკის გამოყენება შესაძლებელია ჩვენს პირობებში მებოსტნეობასა და მცირეკონტურიანი ნაკვეთების დასამუშავებლად.

მაღალეფექტიანი ხელისუფლების პრემირებული მჭამელები

საგულისხმოა ისიც, რომ არაფერი კეთდება ინჟინერ-მექანიზატორთა და ტრაქტორისტ-მემანქანეთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის. როგორც ჩანს, ეს საინჟინრო დარგი ახალგაზრდობისთვის დღეს მიმზიდველი არ აღმოჩნდა და ამიტომ სამომავლოდ სოფლის მეურნეობა რომ არ დარჩეს საინჟინრო მომსახურების გარეშე, რაც შეუძლებელს გახდის ტექნიკის ეფექტურ გამოყენებას, მიზანშეწონილი და აუცილებელი იქნება სოფლის მეურნეობისა და განათლების სამინისტროების ხელმძღვანელობამ დროულად იმსჯელონ ამ საკითხის მოგვარებაზე და აგრარულ უნივერსიტეტში მექანიზაციის ფაკულტეტზე სტუდენტთა სწავლება აწარმოონ სახელმწიფო დაფინანსებით, რაც, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს ახალგაზრდების მოზიდვას ამ სპეციალობაზე.

ჩვენთან მექანიზაციის დარგში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმოებაც, რომ აუცილებელია, იქიდანაც ნათლად ჩანს, რომ ქართველმა ინჟინერ-მექანიზატორებმა და ამ დარგში მომუშავე მეცნიერებმა პროფესორ შალვა კერესელიძის ხელმძღვანელობით ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში მსოფლიოში პირველებმა შექმნეს და წარმოებაში დანერგეს ჩაის კულტურაში მომუშავე მანქანათა კომპლექსი, რამაც ქვეყანას დიდი ეკონომიკური ეფექტი და მოგება მისცა, შემქმნელმა კოლექტივმა კი უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა. დღეს კი ჩვენთან არსებული ერთ-ერთი მექანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც სოფლის მეურნეობისთვის საკმაო მოცულობის სასარგებლო სამუშაოებს ასრულებდა და წინ მიჰყავდა დარგის განვითარება, მთლიანად განადგურებულია და აღარ ფუნქციონირებს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ჯეროვან ყურადღებას აქცევდა რა მექანიზაციის დარგის განვითარებას, სოფლის მეურნეობის სამინისტროში მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე ყოველთვის იყო მაღალი კვალიფიკაციის მქონე ინჟინერ-მექანიზატორი. ამასთან, სამინისტროში არსებობდა მექანიზაციის მთავარი სამმართველო, რომელიც ხელმძღვანელობდა ქვეყანაში ამ დარგის განვითარების საქმიანობას. დღეს კი მინისტრის არც ერთი მოადგილე ამ დარგის სპეციალისტი არ გახლავთ და ერთი მცირერიცხოვანი მექანიზაციის განყოფილება, რომელიც აქამდე სამინისტროში არსებობდა, როგორც შევიტყვე, ისიც გაუქმებულია და არ ფუნქციონირებს. ესეც არის ამ მეტად მნიშვნელოვანი დარგის უკუსვლის მიზეზი და შეუფასებლობა, რომლის გამოუსწორებლობა ახლო მომავალში მძიმე ტვირთად დააწვება ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებას. ამიტომ კატეგორიულად ვაყენებთ საკითხს, რომ სოფლის მეურნეობის მართვას ხელმძღვანელ რგოლში კვალიფიციური და გამოცდილი კადრები ესაჭიროება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა თავის გამოსვლებში ორჯერ ხაზგასმით აღინიშნა, რომ არცერთი ჰექტარი მიწა არ უნდა დაგვრჩეს დაუმუშავებელიო, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, სოფლის მეურნეობის საჭიროებისთვის არ შემოიზიდა ახალი ტექნიკა, არ მომზადდა სარემონტო ბაზა, შესაფერისი კადრები, მაშინ უახლოეს 2-3 წელიწადში სოფლად დღეს არსებული ისედაც მცირე მოძველებული ტექნიკა მთლიანად გამოვა მწყობრიდან სოფლის მეურნეობა და ქვეყანა დიდ ეკონომიკურ ზარალს ნახავს.

წინამდებარე სტატიაში დასმულ საკითხებსა და სოფლის მეურნეობაში არსებულ რიგ პრობლემებზე მექანიზატორებს დიდი სურვილი გვქონდა შევხვედროდით მინისტრს ბატონ ოთარ დანელიას, რაზედაც ჯერ წერილით, ხოლო მ/წ 27 აპრილს ტელეკომპანია „ობიექტივიდანაც“ მივმართეთ, მაგრამ ჯერჯერობით პასუხი არ მიგვიღია და იმედს ვიტოვებთ, რომ ბატონი მინისტრი გამონახავს დროს ჩვენთან შესახვედრად.

სასურველია, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის აგრარული კომიტეტიც დაინტერესდეს ამ საკითხებით. მოისმინოს და განიხილოს სოფლად მექანიზაციის დარგში შექმნილი მძიმე მდგომარეობა და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

ირაკლი დვალი,
საქართველოს მიწათმფლობელთა და მექანიზატორთა საზოგადოების თავმჯდომარე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს დამსახურებული მექანიზატორი

ცნობილი ამბავია, ქართულ პროდუქციას, უსტანდარტობისა თუ უხარისხობის გამო უჭირს ევროპის ბაზარზე (და არა მარტო ევროპის) საექსპორტოდ გასვლა. სამაგიეროდ, ქართული პარადოქსია უკონკურენტო, ორიგინალური და შეუდარებელი მთელ მსოფლიოში. ამის დასტურად გამოდგება თუნდაც ქვეყნის „ნიადაგმზარდი“ ეკონომიკა, რომლის პარალელურადაც, რაც უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, არ იცვლება ხალხის სიღარიბე, მისი გაუსაძლისი ყოფა და სიდუხჭირე.

რატომ ხდება ასე და არა სხვანაირად? თავის დროზე ამის ახსნას შეეცადა ხელისუფლების სათავეში მყოფი ნაცბანდა, ბევრი იმტვრია თავი ამ საიდუმლოს ხალხისათვის გასაგები ენით მისატანად, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ელექტ ორატმა არ დაიჯერა, უფრო სწორად არ ირწმუნა შარახვეტია სააკაშვილის „სწორუპოვარი რეფორმებით“ აყვავებული ქვეყნის რეალობა და მატყუარა პრეზიდენტს, თავის ხროვასთან ერთად, 2012 წლის არჩევნებში პანღური უჭირა. ჰოდა, ხელისუფლებიდან გაპანღურებული ნაცები, ახლა უკვე მთავარი ოპოზიციონერის პოზიციიდან, საკუთარი „გამოცდილებიდან“ გამომდინარე, ცდილობენ ხალხი დაარწმუნონ, რომ ის, რაც ნაცებს არ გამოუვიდათ – საკუთარი სცენარით დადგმული ვირტუალური ეკონომიკით მოსახლეობის დაპურება – არც ქოცებს გამოუვათ.

ამ მიმართულებით ნაცხროვული ოპოზიცია განსაკუთრებით ამ დღეებში გააქტიურდა, როცა გახმაურდა მსოფლიო ბანკის გრძელვადიანი კვლევის შედეგები, რომელიც 1996-2014 წლების პერიოდს მოიცავს. **200 ქვეყანას შორის, ნათქვამია მასში, სადაც კვლევის მიხედვით მმართველობის 6 ჯამური ინდიკატორია მოცემული, საქართველოს პოზიციები მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია. როგორც კვლევამ აჩვენა, საქართველომ 2012 წლიდან მოყოლებული მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია გლობალური მმართველობის ყველა ინდიკატორში, ხოლო გაუმჯობესების ტემპი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფია მსოფლიოში.**

მსოფლიო მასშტაბით საქართველოს პირველი ადგილი უკავია განვლილი პროგრესის მხრივ ისეთ სფეროებში, როგორიცაა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა და რეგულირების ხარისხი, რომლითაც ფასდება სახელმწიფოს უნარი შეიმუშაოს და გაატაროს რეფორმები კერძო სექტორის განვითარების მიზნით. ამასთან, მიღწეული პროგრესის მხრივ, საქართველოს პირველი ადგილი უკავია უკლებლივ ყველა ინდიკატორში რეგიონული მასშტაბით.

ხაზგასასმელია ისიც, რომ ინდიკატორებში საქართველო არ ჩამოუვარდება ცენტრალური და სამხრეთ ევროპის ისეთი ქვეყნების შეფასებებს, როგორებიცაა ჩეხეთი, სლოვაკეთი, იტალია, საბერძნეთი, მაკედონია, უნგრეთი, ბულგარეთი. საქართველო ასევე მნიშვნელოვან პოზიციებს იკავებს სხვა ქვეყნების მიმართ.

ხედავთ რა ხდება? გასკდით ახლა უკანა ნახევზე სააკაშვილისტებო! აბა რა გეგონათ, მსოფლიო ბანკი, რომელიც თავის დროზე თქვენი რეფორმატორული მიღწევების მაპარებელი იყო, სამარეში ჩამოგყვებოდათ? ახლა რას იზამთ, უკანვე ალოკავთ თქვენეულ მტკიცებას, რომ ქოცების მმართველობის სამწლიან პერიოდში საქართველო ერთ ადგილზე გაიყინა, ეკონომიკა აღარ იძვრის, ინვესტორები გაიქცნენ, ხალხი კი, რომელსაც გამდიდრებას ჰპირდებოდნენ, ფაქტობრივად, დაიმშაო? თურმე რეალობა ისეთი კი არაა, როგორსაც ქოსატყუილა ნაცები გვიხატავდნენ, უფრო სწორად, ლაყბობდნენ, ასეთი, სრულიად საპირისპირო ყოფილა, ნაცების მიერ შერქმეული უნიათო და უსაქმური მეოცნებენი თურმე საქმეს აკეთებდნენ, რაც, ოპოზიციაში ჩასაფრებული მიშისტებისგან განსხვავებით, შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მსოფლიო ბანკის მაღალპროფესიონალ სპეციალისტებს.

ამის თაობაზე გულდაჯერებული სიამაყით განაცხადა გაეროს გენერალური ასამბლეის მაღალი ტრიბუნიდან **საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა: „ჩვენი ხედვა ნათელია, თქვა მან, ისევე როგორც ჩვენი მომავალი. მსოფლიო ბანკის რეიტინგის თანახმად, 2012 წლის შემდეგ საქართველოს პოზიციები გაუმჯობესდა – 13 პუნქტით რეგულაციების ხარისხის კატეგორიაში; 16 პუნქტით – გამოხატვისა და ანგარიშვალდებულების კატეგორიაში; 19 პუნქტით – კანონის უზენაესობის კატეგორიაში; 22 პუნქტით – პოლიტიკური სტაბილურობისა და მმართველობის ეფექტიანობის კატეგორიაში; 23 პუნქტით – კორუფციის კონტროლის კატეგორიაში. ბიზნესის წარმოების სიმარტივის თვალსაზრისით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოდენობა 87 პროცენტით გაიზარდა, რაც 2007 წლის შემდეგ ყველაზე დიდი მაჩვენებელია“.**

ასეთია რეალობა, რომელიც მსოფლიო მასშტაბით ათობით ავტორიტეტულ წყაროსა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშებზე, ასევე, ათასობით ექსპერტის, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციების შეხედულებებზე დაყრდნობით, მსოფლიო ბანკმა იმ სიშორიდან დაინახა, მაგრამ იგივე რეალობა რატომღაც არ სურთ დაინახონ ხალხისგან პანჩურამოკრულმა, ახლომხედველმა ნაცებმა და მათმა სატელიტმა პარტიებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებსაც უსინდისოდ უჭერს მხარს მიშას პანდორას ყუთი – „ცრუსთავი-2“.

ხელისუფლებაში მოსულმა ივანიშვილის მთავრობამ ქვეყანა კი იხსნა სააკაშვილის მოძალადე, ტერორისტული და სისხლიანი რეჟიმისგან, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა. დღეს რომ კაცს დაყაჩაღებისა აღარ ეშინია და თავისუფლად სუნთქავს, ეს, რა თქმა უნდა, ამ ხელისუფლების დამსახურებაა, მაგრამ მისივე დამსახურებაა, რომ მთელი სამი წლის მანძილზე ქვეყნად დაპირებული სამართლიანობა ვერ აღადგინა და ხალხი იმედგაცრუებული დატოვა. ნაციონალურად ცრუქლაქუნა გივი თარგამაძეს იმის უფლებას რომ მისცემ, მოძალადე ნაცბანდისგან საქართველოს მხსნელ ბიძინა ივანიშვილს „ერთი თავზეხელაღებული ავანტიურისტი“ უწოდოს, იმავე ბიძინას დასავლური დემოკრატიის წყალობით გადარჩენილი თარგამაძეების, უგულავების, წიკლაურების, გაბაშვილების, კანდელაკებისა თუ ნადირაშვილების ზნეობრივი კრედოდან სხვა უკეთესს რას უნდა მოელოდე(!).

მარტო ეს არ არის, რის გამოც ხალხი კოალიციური მმართველობის ნაღვაწით უკმაყოფილოა. ყველას გვახსოვს თავის დროზე ქვეყნის მხსნელებად მოვლენილი ნაცები სინამდვილეში ქვეყნის მყვლეფავები რომ აღმოჩნდნენ, მიუსხდნენ სახელმწიფო ბიუჯეტს და ათასგვარი კორუფციული სქემებითა და „დამსახურებული პრემიებით“ უკანასკნელ გროშამდე გამოხრეს. ამის შემყურე ხალხმა, მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა, იფიქრა, ახლა ნამდვილად გვეშველება, ივანიშვილს იმდენი ქონება აქვს, ჩვენსას არაფერს წაიღებს, პირიქით, აქეთ მოგვეხმარება და არც სხვებს მისცემს უფლებას სახელმწიფო სახსრებში ხელები აფათურონ. ასე კი ფიქრობდნენ, მაგრამ შეცდნენ. ახლად გამინისტრებული მეოცნებენი ჯერ სკამებზეც არ მორგებულიყვნენ და უკვე პრემიების გამოწერაზე გადავიდნენ. იხარბეს, კანცელარიის თანამშრომელთა ერთმა ნაწილმა 2012 წლის დეკემბერშივე პრემიის აღება რამდენჯერმე მოასწრო. ამის გამო თვით ნაცებიც კი განცვიფრებას ვერ მალავდნენ: ერთი შეხედეთ, ამ ხალხის მსახურებს, ჩვენ რომ გვადანაშაულებდნენ, ფული თავადაც როგორ ჰყვარებიათო.

სახელმწიფო სტრუქტურებში ჩინოვნიკთა სახელფასო დანამატებითა და პრემიებით წახალისებამ კლების მაგივრად კიდევ უფრო მოიმატა. **რაც უნდა სამწუხაროდ მოგვეჩვენოს, ამის მაგალითს იძლევა თვით საკონსტიტუციო სასამართლოც კი, სადაც, როგორც ირკვევა, კანონის უზენაესობაზე მეტად მოსამართლეთა სიხარბის ზეობა მძლავრობს.** თუ არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ კვლევის შედეგებს დავუჯერებთ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო დღეს მსოფლიოში ყველაზე ძვირი მართლმსაჯულების ორგანოა. ხსენებული ორგანიზაციის მონაცემებით, ხსენებული სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილმა 2015 წლის იანვარ-ივნისში, თანამდებობრივი სარგოს, პრემიისა და დანამატის სახით, 56925 ლარი მიიღო, 2014 წელს – 134820 ლარი, 2013 წელს – 204675 ლარი. არანაკლებ შთამბეჭდავია ნაციონალ პაპუაშვილის სამივლინებო ხარჯებიც: 2015 წლის პირველ ნახევარში – 18249 ლარი, 2014 წელს – 69607 ლარი, ხოლო 2013 წელს – 38500 ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის თავაუღებლად თქვლეფის ნიმუშად გამოდგება თბილისის მერიისა და საკრებულოს მუშაკთა საქციელი. **აუდიტის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშიდან ირკვევა, რომ 2014 წელს თბილისის საკრებულოში 4 მილიონ ლარზე მეტი პრემია და დანამატი დარიგდა. მთელ რიგ შემთხვევაში პრემია გაცემულია თანამდებობრივი სარგოს 200-300 პროცენტის ოდენობით. პრემიები გაცემულია იმ თანამშრომლებზეც კი, რომლებიც შვებულებაში იმყოფებოდნენ, ან უფრო უარესი, სახელმწიფო ხარჯებით ბრიტანეთში გაემგზავრნენ რაგბის მსოფლიო ჩემპიონატზე დასასწრებად(!).**

ვერაფერს იტყვი, საქართველოს მთავრობას, რომლის მაღალეფექტიან მოღვაწეობას მსოფლიო ბანკმა მაღალი შეფასება მისცა, სახელმწიფო სახსრების ასევე მაღალეფექტიანი მჭამელები ჰყავს. ამის დასტურია, გნებავთ, ის ფაქტიც, რომ **პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე „ძვირი“ მთავრობა ჰყავს – ბიუჯეტი საჯარო მოხელეებს ყოველწლიურად 2 მილიარდს უხდის, რაც ქვეყნის მთლიანი ბიუჯეტის თითქმის მესამედს შეადგენს.** ამაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავს სახელმწიფო სახსრების ხელგაშლილად ხარჯვის დიდოსტატი ნოდარ ხადური, რომელსაც მიაჩნია, რომ გაზრდილ პრემიებზე ლაპარაკი ღია კარის მტვრევის ტოლფასია. აბა როგორ გინდათ, ბატონებო, აცხადებს ქვეყნის პირველი ფინანსისტი, ღირსეულ საჯარო მოსამსახურეებს ღირსეული ანაზღაურება ესაჭირებათო. მას მხარს უბამს პარლამენტარი ზურაბ ტყემალაძე: ეფექტური მთავრობა გვყავს და ეექტურ ხელფასებსა და პრემიებს იმსახურებსო.

ნება მომეცით, არ დაგეთანხმოთ, ბატონო მინისტრო და პატივცემულო პარლამენტარო. ლაპარაკია არა სახელმწიფოს ღირსეული მოხელეებისთვის ანაზღაურების მიცემა-მიუცემლობაზე, არამედ იმაზე, რომ **ისეთ ღატაკ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილობის ზღვარზეა, მარეგულირებელ კომისიებში, ეროვნულ ბანკში, სახელმწიფო საპარტნიორო ფონდში მომუშავე ჩინოვნიკთა ხელფასი 150-ჯერ არ უნდა აღემატებოდეს საწყალი პენსიონერის შემოსავალს! ეს სოციალური მარაზმია, ქონებას დახარბებულ ჩინოვნიკთა მხრიდან უზნეობის ტოლფასია და საზოგადოების სამართლიან პროტესტს იწვევს.**

ხალხის არჩეული ხელისუფლება რომ პირველ რიგში ხალხზე უნდა ზრუნავდეს და მერე საკუთარ თავზე, ამ ჭეშმარიტებას ნაცებთან ერთად, ალბათ, ვერც „ქართული ოცნება“ გაექცევა. მაღალდემოკრატიულ და მაღალზნეობრივ ქვეყანაში, რომლის პრეტენზიასაც საქართველო აცხადებს, არავის აქვს უფლება მაძღარი იყოს, თუკი მის გვერდით ერთი მშიერი მაინც დადის. როცა ხალხს შია, პრემიებზე ლაპარაკიც კი სირცხვილია.

ოთარ ხუციშვილი

◎ გაეროს 70-ე საიუბილეო სესია

მსოფლიოს მოლოდინი „დიდთა“ შეხვედრისგან

გაეროს გენერალური ასამბლეის 70-ე საიუბილეო სესია მსოფლიოს საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ რომ მოექცა, გასაკვირი არ არის. წინა ასამბლეიდან დღემდე, ერთი წელი გავიდა – ერთობ დაძაბული, დაპირისპირებებით აღსავსე.

დაპირისპირება ყოველთვის იყო გაეროს ასამბლეის ისტორიაში, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან ორგანიზაციაში შემავალი წევრი სახელმწიფოების დამოკიდებულება როგორც საშინაო, განსაკუთრებით საგარეო საკითხებისადმი იყო და არის განსხვავებული. გასაკვირი ის იქნებოდა, ყველა წევრ სახელმწიფოს რომ იდენტური მიდგომა ჰქონოდა.

დაპირისპირებაცაა და დაპირისპირებაც, მაგრამ როდესაც დაპირისპირებულ მხარეებად დიდი ქვეყნები გვევლინებიან, საქმე არცთუ კარგად არის, თანაც რა ქვეყნები – სსრკ-ს მემკვიდრე რუსეთი და აშშ – გაეროს უშუალო შემქმნელები.

რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, ვინ და სად შექმნა მსოფლიო ორგანიზაცია. მართალია, მას კონკრეტული გვარები არ დაუსახელებია, მაგრამ პოლიტიკოსებმა, განათლებულმა საზოგადოებამ იცის მათი ვინაობა – სტალინი, რუზველტი, ჩერჩილი. იცის ადგილი, სადაც საფუძველი ჩაეყარა გაეროს შექმნის იდეას - ყირიმი, იალტა, „დიდი სამეულის“ იალტის კონფერენცია.

70 წლის წინათ იალტის კონფერენციის მონაწილეთა შეხმატკბილებულ მუშაობაში რაღაც ხინჯი გაჩნდა და გაჩნდა ის არა სსრკ-ის (შემდგომში რუსეთის) ინიციატივით, არამედ იმ ამბიციური გრძნობების მოზღვავების გამო, რამაც დაბინდა მსოფლიო ჰეგემონობისთვის მებრძოლი აშშ-ის პოლიტიკური გონება. განვლილი 70 წლის განმავლობაში ორი ქვეყნის ურთიერთობა ცუდ კარდიოგრამას უფრო წააგავდა, ვიდრე საღი ორგანიზმის გულსისხლძარღვთა მოქმედებას.

რომ იტყვიან, რაც იყო, იყო, ყოველივე ისტორიას ჩაბარდა, მაგრამ უკუღმართი ისტორია რომ ნაკლებ საფუძველს იძლევა ჯანსაღი ურთიერთობისთვის?

ზერელეობამ, ისტორიის გაუთვალისწინებლობამ, საკითხებისადმი მხოლოდ საკუთარი სამრეკლოდან მიდგომამ გამოიწვია ის, რასაც კრიზისის წინა პერიოდი ჰქვია. ერთი წელია, წინა საინფარქტო ვითარებაა შექმნილი დიდი სახელმწიფოების ურთიერთობაში – ერთი მხრივ აშშ-ს და მეორე მხრივ რუსეთ-ჩინეთს შორის.

არადა, სამივე, გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი სახელმწიფოებია - იმ ორგანოსი, რომელმაც უნდა მოაგვაროს ომისა და მშვიდობის საკითხები. უნდა მოაგვაროს, მაგრამ ვერ აგვარებს, ვინაიდან ერთ-ერთი, აშშ ცდილობდა და ცდილობს გაეროს უშიშროების საბჭოს გვერდის ავლით მსოფლიო პრობლემების „მოგვარებას“, რაც თავისთავად აკერებს მას მსოფლიო „უანდარმის“ არცთუ სახარბიელო სახელს.

გაეროს ისტორიაში აშშ-ის მხრიდან არაერთხელ მომხდარა ამ ორგანიზაციისთვის გვერდის ავლა, მარტო იუგოსლავიის მაგალითი რად ღირს. ის, რომ გაეროს შტაბ-ბინა ნიუ-იორკში მდებარეობს, ის, რომ აშშ ამ ორგანიზაციის ყველაზე დიდი დონორია, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის (გაერო), მის მიერ (აშშ-ს) უნდა იყოს პრივატიზებული.

მსოფლიო საკითხებისადმი ცინიკურმა მიდგომამ გამოიწვია ვითარება, რასაც დიდთა დაპირისპირება ჰქვია. დიდთა დაპირისპირება კი პატარა საკითხებით, უფრო სწორად რეგიონულით დაიწყო და „დიდობაში“ გადავიდა. მაინც, რა საკითხებია ისეთი, რომლებიც დიდთა ესოდენ დაპირისპირებას იწვევს? უპირველეს ყოვლისა, ახლო აღმოსავლეთის და სირიის პრობლემა, ტერორიზმი, უკრაინის თემა, ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება.

გაეცა თუ არა ამ საკითხებს პასუხი 70-ე საიუბილეო სესიაზე? ძნელი სათქმელია, ვინაიდან პოზიციების დაფიქსირება, სულაც არ ნიშნავს წამოჭრილ პრობლემებზე საფუძვლიანი პასუხის გაცემას, მით უმეტეს მათი გადაჭრის გზების გამონახვას.

დაფიქსირდა ორივე მხარის – რუსეთის და აშშ-ის პოზიცია. აშშ-ის პრეზიდენტ ობამას სიტყვაში ხაზგასმით გამოსჭვიოდა ჰეგემონის პოზიცია, ანუ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების იმ პირის მიერ შეფასება, რომელიც მაღლა, ძალიან მაღლა (თითქოს ზეცაში) დგას მდაბიოებზე, ან სახელმწიფოებზე, რომლებისთვის უცნობია საერთაშორისო არენაზე ქცევის ელემენტარული წესები. იყო მხილებისა და დატუქსვის მომენტებიც, მაგრამ ამასთანავე იყო ვითომ სურვილიც ანცებთან თანამშრომლობისა, ანუ ღრუბლებინად დაშვება და მათთვის თავის გაყადრება.

ობამას გამოსვლაში იყო ის, რასაც მხოლოდ პოლიტიკაში ღრმად ჩახედული დაინახავს – თავის მართლება შექმნილი ვითარების გამო და სხვაზე დანაშაულის გადაბრალება. პრეზიდენტმა ობამამ „ანცების“ სახელებიც გაგვანდო – რუსეთი, ჩინეთი, ირანი, სირიის ხელისუფლება. თქვა ისიც, რომ აშშ მარტო ვერ შეძლებს პრობლემის მოგვარებას და მზადაა, ითანამშრომლოს რუსეთთან, ირანთან. ობამამ ისიც თქვა, რომ სურს ძლიერი რუსეთის ხილვა, რომელიც საერთაშორისო საზოგადოებასთან ერთად იღვაწებს ახლო აღმოსავლეთისა და უკრაინის საკითხების მოსაგვარებლად.

მას არაფერი უთქვამს, თუ რამ გამოიწვია აღნიშნული პრობლემები, რომ თავიდათავი ის არის, რაც შეფარულად გასდევდა მის ნათქვამს (ანუ თავის მართლება). პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ სირიის საკითხის მოგვარება შეუძლებელია სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადთან ერთად და რომ აუცილებელია მისი გადადგომა, თუმცა, ამჯერად მას არ მოუთხოვია ასადის დაუყოვნებელი გადადგომა.

ობამას სიტყვიდან სამი გამომსვლელის შემდეგ ტრიბუნაზე რუსეთის პრეზიდენტი პუტინი მიიწვიეს, რომელმაც მისთვის ჩვეული პირდაპირობით აღწერა მსოფლიო ვითარება – ობამასგან განსხვავებით, დამნაშავის სახელის გაუჟღერებლად. რა იყო მის გამოსვლაში? – ლიბიაში აგრესიული ქმედება და ამ ქვეყნის სახელმწიფოებრიობის განადგურება; ერაყში შეჭრის შედეგად სრული ქაოსის შექმნა; სირიის კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ ე.წ. ოპოზიციისა და ტერორისტული ჯგუფების დარაზმვა; „ისლამური სახელმწიფოს“ შექმნაში აქტიური მონაწილეობის მიღება; უკრაინაში ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობა და მარიონეტულის მოყვანა; ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება და ა.შ.

პუტინმა გამოთქვა მზადყოფნა ანტიტერორისტული („ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ) ფაქტიური და არა ფიქტიური კოალიციის შექმნის თაობაზე გაეროს ეგიდით და ა.შ.

ორივე გამოსვლიდან ძნელია მტყუან-მართლის ერთმნიშვნელოვნად დადგენა, მაგრამ განვლილი ისტორიის გაანალიზებით, იოლია. გაეროს უშიშროების საბჭოზე ლიბიის საკითხის განხილვამ და რუსეთის წარმომადგენლის მიერ თავის შეკავებამ (რაც შეცდომა იყო) გამოიწვია ლიბიის პერმანენტული საჰაერო დაბომბვა, პოლკოვნიკ კადაფის ხელისუფლების დამხობა, მისი სიკვდილით დასჯა და საბოლოო ჯამში, ლიბიაში წარმოუდგენელი ქაოსის შექმნა – ხოცვა-ჟლეტით, უამრავი ლტოლვილით, და ა.შ.

ერაყში შეჭრაზე რომ არაფერი ვთქვათ (რუსეთი წინააღმდეგი იყო ამისა), სირიის მიმართ ოთხწლიანი ომის (ჯერჯერობით) გაჩაღება უპირველესად ამერიკელთა სინდისზე რომ მოდის, ფაქტია, ისე, როგორც „ისლამური სახელმწიფოს“ შექმნა. ფაქტია ისიც, რასაც იანუკოვიჩის ჩამოგდება ჰქვია.

რამდენად გულწრფელია ობამა, როდესაც ამბობს, რომ მას ძლიერი რუსეთის ხილვა სურს. ვაშინგტონმა უკრაინის დავიდარაბაც ხომ იმიტომ გამოიგონა, რომ რუსეთი დაესუსტებინა. მაშ არის თუ არა აშშ-ის ადმინისტრაცია ძლიერი რუსეთის ხილვის მოსურნე? ალბათ არა, რაზეც აშშ-ის მიერ, რუსეთის წინააღმდეგ შემოღებული სანქციები ღაღადებენ.

არის თუ არა აშშ-ის ადმინისტრაცია სირიის საკითხის მოგვარებისთვის მზად ან „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ფაქტობრივი ომის საწარმოებლად? ალბათ, არა. აშშ-ის პოზიცია ისეთივეა, რაც 2 წლის წინათ იყო, როდესაც სირიაზე პირდაპირი საჰაერო თავდასხმების მიტანა სურდა. იმჟამად პუტინმა იხსნა სიტუაცია. მაგრამ გავიდა 2 წელი და ობამა იგივე პოზიციაზეა. არადა, ყველას ეგონა, რომ ბაშარ ასადი, ქიმიური იარაღის დათმობის საფასურად, რაღაც შეღავათს მაინც მიიღებდა. ვერ მიიღო.

აშშ-ის ადმინისტრაციას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მისი ჩამოგდება, რაც დადასტურდა ობამა-პუტინის საათნახევრიანი საუბრის დროს. რუსეთის პრეზიდენტმა შეხვედრას კონსტრუქციული უწოდა და ისიც აღნიშნა, რომ ბევრ შემთხვევაში მხარეთა პოზიციები ახლოსაა ერთმანეთთან. მან ისიც თქვა, რომ კონტაქტები გაგრძელდება დიპლომატიურ დონეზე. როგორც ჩანს, მხარეებს არ დაუხევიათ საკუთარი პოზიციებიდან, მაგრამ ისინი შეხვდნენ ერთმანეთს - პირისპირ, ხანგრძლივი ლაპარაკით. საათნახევარი საკმარისი დროა მაღალ დონეზე შეხვედრის დროს.

გაეროში გამოსვლამ და ორი ქვეყნის ლიდერის პირისპირ ლაპარაკმა, ცხადყო, რომ პუტინი უკან დახევას არ აპირებს, არც ყირიმის, არც უკრაინის საკითხებში. მას უკან დასახევი გზაც არ აქვს.

ანალოგიურ სიტუაციაშია ობამაც, თუმცა მას შეუძლია უკან დახევა. გარდა ამისა, ერთი წლის შემდეგ მისი საპრეზიდენტო ვადა ამოიწურება. პუტინის მიზანია, გაუძლოს აშშ-ის ადმინისტრაციის შემოტევას ერთი წლის განმავლობაში. ერთი წლის (უფრო სწორად წელიწად-ნახევრის) შემდეგ აშშ-ს ახალი პრეზიდენტი ეყოლება, ახალი იდეებითა და სულისკვეთებით.

რუსეთისთვის არც ის „ახალი“ იქნება მურაბა, მაგრამ ელის კი ასეთს კრემლი? მთლად ბრიყვი უნდა იყოს, რომ ამას მოელოდეს. აშშ-ის საგარეო პოლიტიკა წლების მანძილზე იჭედება და მას ვერაფერი არყევს, ვერც დემოკრატები და ვერც რესპუბლიკელები.

გაეროს სესიამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რამდენად საინტერესოა, მაგრამ საპასუხისმგებლოა პოლიტიკა, რომ ეს პროფესია ისეთია, ყველა რომ ეპოტინება, მაგრამ მხოლოდ ერთეულებს აქვთ უფლება თავს პოლიტიკოსი უწოდოს. მათ რიცხვში ნამდვილად ვერ მოვიაზრებ დღევანდელ ქართულ პოლიტიკას, რომელსაც ტყემალი ვაშლისგან ვერ გაურჩევია. სხვას ვერაფერს იტყვი ნაციონალური „კორიფეებისა“ და ყოფილ დიპლომატთა მიერ შექმნილ პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენლებზე, სხვა პარტიების წევრებზე, რომლებმაც დაგმეს საქართველოს პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილის გამოსვლა – არაფერი თქვა რუსეთის აგრესიაზეო და ა.შ.

დიახ! ღარიბაშვილი სიტყვით გამოვიდა იმავე დარბაზში, გაეროს 70-ე საიუბილეო სესიის გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე, რომელიც მიეძღვნა მსოფლიოს მდგრად განვითარებას. ეს დავალება იყო ყველა ქვეყნისთვის, რაც მიზნად არ ისახავდა საკუთარ გასაჭირზე ლაპარაკს. საქართველოს პრობლემებისთვის მას პირველი ოქტომბრის გამოსვლა ჰქონდა წინ. რატომღაც ქართველმა „პოლიტიკოსებმა“, მათ შორის „დიპლომატებმა“ პეტრია შავილმა, დოლიძემ ჩათვალეს, რომ „საშინაო დავალებაში“ ღარიბაშვილს რუსეთი უნდა ელანძღა. თუმცა, რა მოეთხოვებათ ე.წ. დიპლომატებს და ისეთ პოლიტიკოსებს, როგორებიცაა ბოკერია, დავითაია, ... როდესაც უკრაინის პრეზიდენტმა, ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა (იანუკოვიჩის მთავრობაში), ქართველთა მსგავსად, უხეში შეცდომა დაუშვა და ნაცვლად გაეროს მიერ მოცემული დავალებისა, რუსეთის აგრესიაზე ილაპარაკა. აი, როდესაც მსგავს პოლიტიკოსებთან გვაქვს საქმე, საქმე დადებითი არ იქნება. და ეს რომ ასეა, უკრაინა-საქართველოს საქმენი საგმირონი ღაღადებენ.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

დედამიწის ზურგზე

მინსკში რუსეთის სამხედრო ბაზის წინააღმდეგ გაიმართა საპროტესტო აქცია

თავისუფლების მოედანზე, პრესის შეფასებით, შეიკრიბა დაახლოებით 400-500 კაცი. აქციის მონაწილეებს ხელში ეჭირათ პლაკატები წარწერებით: „ჩვენ მშვიდობიანი ცა გვინდა“, „Russians, go home“, „მოუსვით სახლში!“, „რუსეთის სამხედრო ბაზები ჩვენ სამიზნედ გვაქცევენ. არ არის ბაზები, არ არის ომი!“, აგრეთვე ოპოზიციის თეთრ-წითელი დროშები და ევროკავშირის დროშები.

თურქეთმა ბრალი დასდო რუსეთს თავისი საჰაერო სივრცის დარღვევაში

ინციდენტი გასულ შაბათს მოხდა. თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალებმა განგაშით ჰაერში გაუშვეს ორი გამანადგურებელი, რათა ხელში ჩაეგდოთ რუსეთის სამხედრო თვითმფრინავი. თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, საჰაერო სივრცის დარღვევის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად და ამგვარი მოქმედებებისაგან თავის დაცვის მიზნით რუსეთის ფედერაციის ელჩი ანკარაში უწყებაში გამოიძახეს.

„ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებმა პალმირაში დაანგრიეს ბრიუმფალური თაღი, რომელიც ძველმა რომაელებმა აააგეს დაახლოებით ორი ათასი წლის წინათ

ცნობა თაღის დანგრევის შესახებ გაჩნდა სოციალურ ქსელებში, სირიის ძველი ძეგლების დაცვის სახელმწიფო სააგენტოს უფროსმა მაამუნ აბდულკარიმმა როიტერთან საუბარში ეს ინფორმაცია დაადასტურა. მისი სიტყვებით, ახლა ტერორისტები „აფეთქებენ შენობებს რელიგიური მნიშვნელობის გარეშე“.

შვედეთში 114-ე ნობელის კვირა იწყება

პირველად გამოცხადდება პრემიის ლაურეატი ფიზიოლოგიასა და მედიცინაში. უახლოეს დღეებში ცნობილი გახდება პრემიის მფლობელები სხვა ნომინაციებში. კერძოდ, 6 ოქტომბერს შვედეთის დედაქალაქში გამოცხადდება გადაწყვეტილება ნობელის კომიტეტის გადაწყვეტილების შესახებ ფიზიკაში, 7 ოქტომბერს – ქიმიაში. 9 ოქტომბერს ოსლოში მშვიდობის პრემიის ლაურეატს დაასახელებენ.

ჩინეთში ტაიფუნ „მუჩქიგეს“ გამო 6 კაცი დაიღუპა, კიდევ 16 უგზო-უკვლოდ დაიკარგა

ტაიფუნთან დაკავშირებით სამართალდაცვის ორგანოები და გუანსი-ჩჟუანის ავტონომიური რაიონის მაშველები გადაყვანილი არიან მუშაობის გაძლიერებულ რეჟიმში. გუანდუნის პროვინციაში ტაიფუნის შედეგად 215 კაცი დაიჭრა. 30 ათასი კაცი ევაკუირებულია. გუანდუნის პროვინციაში დაახლოებით 100 მილიმეტრი ნალექი მოვიდა, ქარის სიჩქარემ 67,2 მეტრს წამში მიაღწია.

◎ უსისხლო რევოლუცია

ოქტომბერში უკვე მეორედ გასილაქდა ნაციონალური კოშმარი!

(პირველი გვერდიდან)

რაც შეეხება საარჩევნო პროცესის გაწელვის საბაბს, ეს ხომ საერთოდ სცილდება ყველანაირ ნორმებს. ოდესმე გსმენიათ, ადამიანი ნარკოდამოკიდებულების გამო დაეკავებინოთ, მისი გამოსარჩლება კი საფეხბურთო ვნებათაღელვის დროს ულტიმატუმების წამოსაყენებლად გამოეყენებინოთ? სხვა თემაა, ასეთმა პიროვნებამ რითი დაიმსახურა დელეგატის მანდატი. თუმცა, რა გვიკვირს – ეს ხომ საქართველოა.

სხვათა შორის, სწორედ ის საქართველო, რომელშიც 2012 წლის შემდეგ ოქტომბერში უკვე მეორედ გასილაქდა ნაცკოშმარი, ამჯერად მისი არცთუ უმნიშვნელო ბასტიონის – საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აწ უკვე ყოფილი „ვერხუშკის“ სახით. დიახ, ექსრეჟიმს ფიფა-უეფას მილიონებიდან წილების სოლიდური არხი გადაეკეტა.

გია პლატონიშვილი

მინაწერი: მადლობა ქართველ გულშემატკივრებს, რომელთა მოზღვავებამაც სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მნიშვნელოვანწილად განაპირობა კენჭისყრის შედეგები: ლევან კობიაშვილი – 18 ხმა, რევაზ არველაძე – 15 ხმა, მამუკა კვარაცხელია – 0 ხმა. დიახ, 2007 წლის 13 მაისის ავადსახსენებელი ფარსისგან განსხვავებით, წლევანდელი არჩევნების ბედი ხალხის უმეტესობის ნების მიხედვით გადაწყდა!

გუშინ ლევან კობიაშვილის პირველი სამუშაო დღე იყო. გზა დაელოცოს სფფ-ის ახალ თავკაცს.

გ. პ.

◎ ძიუდო

სტამის „ვერცხლი“

უზბეკეთის დედაქალაქში დამთავრდა ძიუდოისტთა „დიდი პრიზის“ ტურნირი, რომელშიც კარგად იასპარეზა ესტერ სტამმა (70კგ) – საქართველოს სახელით მოჭიდავე ჰოლანდიელმა ქალბატონმა ვერცხლის მედალი მოიპოვა. მან ოპერაციის შემდეგ პირველ სერიოზულ წარმატებას მიაღწია – სტარტზე იპონით სძლია ბელგიელ როქსანე ტაიმანსის, მეოთხედფინალში მტკივნეულით აჯობა გერმანელთა ევროპის ბრინჯაოს პრიზიორ სანდრა დიტრიხს. ნახევარფინალშიც გერმანელს მოუგო – იანა მარზოკს, გადამწყვეტ პაექრობაში კი სამხრეთკორეელთა მსოფლიოს პრიზიორთან, აზიის ჩემპიონ სეონგიეონ კიმთან დამარცხდა და მეორე ადგილს დასჯერდა, რამაც მას საერაციენზიო 180 ქულა მოუტანა. კლასიფიკაციაში იგი ამჟამად 23-ეა.

ტაშკენტში სტამთან ერთად კიდევ ორმა ქართველმა ძიუდოისტმა იჭიდავა: ვაჟა მარგველაშვილი (66) მეხუთე ადგილზე გავიდა და საერაციენზიო ჩათვლაში 60 ქულა შეიმატა, ხოლო ალექსანდრე მსხალაძე (100) პირველივე შეხვედრაში დამარცხდა.

გივი გაგუა

◎ ჭადრაკი

სტარტი - მონტე-კარლოში

2017 წელს მოჭადრაკე ქალთა გვირგვინისთვის მსოფლიოს ჩემპიონთან შეხვედრის უფლების მოსაპოვებლად მონტე-კარლოში (მონაკო) დაიწყო ფიდეს 2015-2016 წლების გრან პრის გათამაშება, რომელიც ოთხი ეტაპისგან შედგება. საუკეთესოს სახელისთვის 16 დიდოსტატი იბრძოლებს. მათ შორის არიან: 2015 წლის მსოფლიოს ჩემპიონი მარია მუზიჩუკი (უკრაინა, 2528), ფინალისტი ნატალია პოგონინა (რუსეთი, 2445), ნახევარფინალისტები – ევროპის ორგზის ჩემპიონი პია კრამლინგი (შვედეთი, 2513) და ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი, 2516), საუკეთესო რეიტინგის

მქონენი – მსოფლიოს ექსჩემპიონი ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2671), ჰამპი კონერუ (ინდოეთი, 2578), ნანა ძაგნიძე (საქართველო, 2573), ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი, 2542), ანა მუზიჩუკი (უკრაინა, 2528), ევროპის ორგზის ჩემპიონები – ვალენტინა გუნინა (რუსეთი, 2529) და ნატალია ჟუკოვა (უკრაინა, 2485), ფიდეს ნომინანტები, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები – ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2525) და ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი, 2500). ოთხი მონაწილე გრან პრის ეტაპების მასპინძლებს უნდა წარედგინათ. საქართველოდან ეს უფლება ნინო ბაციაშვილმა (2500) მოიპოვა, რომელმაც ოთხი პარტიისგან შემდგარ მატჩში ბელა ხოტენაშვილს (2502) სძლია – 2.5:0.5. ირანიდან სარასადათ ხადემალშარეჰი (2402) თამაშობს.

პირველი რაუნდი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მონტე კარლოში დაიწყო. დანარჩენი სამი რაუნდი გაისად გაიმართება: თებერვალში შეჯიბრებას კიში (ირანი) უმასპინძლებს, მაისში – თბილისი, ხოლო ივლისში მოჭადრაკეები ჩინურ ჩენგდუში მოსინჯავენ ძალებს. ასპარეზობის თითოეული მონაწილე სამ-სამ ტურნირში ითამაშებს. თითოეულში (12-12) ადგილების მიხედვით დაწესებულია ფულადი პრიზები (60-60 ათასი ევრო) და გრან პრის ქულები: I. 160 ქულა((10.000 ევრო), II. 130 (8.250), III. 120 (6.750), IV. 90 (5750), V. 80 (5.000), VI. 70 (4.500), VII. 60 (4.250), VIII. 50 (4.000), IX. 40 (3.250), X. 30 (3.000), XI. 20 (2.750), XII. 10 (2.500).

მონაკოში უკვე ორი ტურის პარტიები გათამაშდა. სტარტზე ნანა ძაგნიძე შავი ფიგურებით ნატალია ჟუკოვას მე-20 სვლაზე დაუზავდა, მეორე ტურში კი თეთრი ფიგურებით მარია მუზიჩუკთან დამარცხდა.

ორი ტურის შემდეგ: მარია მუზიჩუკი – 2, ჰამპი კონერუ, ნატალია პოგონინა – 1.5-1.5, ჰოუ იფანი, პია კრამლინგი, ანტოანეტა სტეფანოვა, სარასადათ ხადემალშარეჰი, ნატალია ჟუკოვა – 1-1, ნანა ძაგნიძე, ანა მუზიჩუკი, ალექსანდრა კოსტენიუკი, ელმირა სკრიპჩენკო – 0.5-0.5 ქულა.

ლაშა დიდია

◎ რაგბი

მილტონ ჰეიგი: ეს ბიჭები „7 ერში“ ყოფნას იმსახურებენ

მსოფლიოს თასის გათამაშება

საქართველო-ახალი ზელანდია 10:43

საქართველო: წიკლაური, აფციაური, კაჭარავა, მჭედლიძე (გიორგაძე 73), თოდუა (შარიქაძე 66), მალაღურაძე, ბეგაძე (ლობჟანიძე 45), ასეიშვილი (ნარიაშვილი 51), მამუკაშვილი (მაისურაძე 66), ჩილაჩავა (ფეიქრიშვილი 51), დათუნაშვილი, ჩხაიძე, სუთიაშვილი, გორგოძე (მიქაუტაძე 48), ლომიძე (კოლელიშვილი 68).

ახალი ზელანდია: სმიტი, ნაჰოლო (ფეკიტოა 53), სმიტი (ვიტო 63), უილიამსი, სავეა, კარტერი, სმიტი (ქერ-ბარლოუ 71). (1-8) კროქეტი (ვუდკოქი 61), კოლი (მეალამუ), ფაუმუნია (ფრენქსი 61), რეტალიკი, ვაითლოქი, კაინო, მაქოა (კეინი 61), რიდი.

მსაჯი: პასკალ გოზერე (საფრანგეთი).

კარდიფის შესანიშნავ სტადიონზე, სადაც უმრავლესობა საქართველოს ნაკრებს ქომაგობდა, „ბორჯღალოსნებმა“ მსოფლიო თასის გათამაშებაზე ქვეჯგუფში პლანეტის უძლიერეს გუნდს, საპატიო პრიზის ამჟამინდელ მფლობელ ახალ ზელანდიას თავდაუზოგავი ბრძოლა გაუმართეს. მართალია, მეტოქემ შვიდი ლელო გაგვიტანა და მოგვიგო (სხვა შედეგს არც არავინ მოელოდა), მაგრამ ჩვენმა ბიჭებმა მსოფლიოს დაანახვეს, რომ ქართული რაგბის ადგილი ელიტაშია. ან ის რად ღირს, მატჩის საუკეთესო მოთამაშედ საქართველოს ნაკრების კაპიტანი მამუკა გორგოძე რომ აღიარეს. და ეს მაშინ, როცა მოედანზე იყვნენ რაგბის ჯადოქრები: დენ კარტერი, რიჩი მაქოა, კირან რიდი, ჯულიან სავეა. თანაც გორგოძემ მხოლოდ 48 წუთი ითამაშა. ქართველი მორაგბე მსოფლიო თასის წლევანდელ გათამაშებაში მეორედ, ხოლო ჯამში მეოთხედ გახდა მატჩის საუკეთესო მოთამაშე (2011 წელს ინგლისთან და რუმინეთთან დაპირისპირებისას). რაც შეეხება ბექა წიკლაურის დადებულ ლელოს, იგი სამუდამოდ შევა ქართული რაგბის ისტორიაში, როგორც „ოლ ბლექსთან“ მატჩში პირველი ლელოს გამტანი.

„ჩვენი მიზანია, სარაგბო სამყარომ ქართული რაგბის შესაძლებლობები აღიაროს. როგორც კი ამაზე ლაპარაკის საშუალება მეძლევა, ყოველთვის ვამბობ, რომ ეს ბიჭები იმსახურებენ „7 ერში“ ყოფნას. ჩვენი განვითარებისთვის ასეთი კონკურენტუნარიანი გარემო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია“, – თქვა ნამატჩევს საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვთნელმა მილტონ ჰეიგმა.

„ბორჯღალოსნები“ მსოფლიოს თასზე დასკვნით შეხვედრას ხვალ ნამიბიასთან გამართავენ.

ლეძსო ცინცაძე

ასე გვაფასებენ

ხოსე-მარია ეპალზა (ესპანეთი, რაგბი ევროპის საშეჯიბრო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე):

„მილენიუმის სტადიონზე თქვენ კიდევ ერთხელ დაუმტკიცეთ სარაგბო სამყაროს ქართული რაგბის მაღალი ხარისხი და ქართველების დიდი გული. გილოცავთ!

„ბორჯღალოსნებმა“ არაჩვეულებრივად ითამაშეს. თქვენი ქვეყანა ღირსეულად წარმოაჩინეთ. ახლა ისღა დაგრჩათ, უკანასკნელ მატჩში ნამიბიას აჯობოთ და იაპონიის მსოფლიო თასისთვის კვალიფიკაცია მოიპოვოთ. წარმატებებს გისურვებთ, დიდი მადლობა ამ ემოციებისთვის“.

ჯეისონ ლეონარდი (ინგლისის რაგბის კავშირის პრეზიდენტი):

„ამ მატჩზე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ქართველებმა არაჩვეულებრივი თამაში გვაჩვენეს. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშში დამარცხდნენ, ეს მათი მორალური გამარჯვება იყო“.

მორგან ბაძლი (მსოფლიო რაგბის განვითარების მენეჯერი):

„გილოცავთ კიდევ ერთ ღირსეულ გამოსვლას მიმდინარე მსოფლიო თასზე – გილოცავთ მთელს ნაკრებს და მენეჯმენტს. თქვენ დიდი პატივისცემა დაიმსახურეთ მთელი მსოფლიოსგან. წარმატებებს გისურვებთ მორიგ მატჩში“.

სტივ აბრამოვიჩი (ახალი ზელანდია):

„ძალიან მაგრად ითამაშეთ. უდიდესი ძალისხმევა იყო, ულამაზესი ლელო და დამსახურებული მატჩის საუკეთესო მოთამაშის ნომინაცია. მთელი ახალი ზელანდია ტაშს გიკრავთ. იმედი მაქვს, ძალიან მალე ისევ შედგება თქვენი შეხვედრა „ოლ ბლექსთან“.

ივ კალვი (საფრანგეთი):

„ვულოცავ „ბორჯღალოსნებს“ ახალი ზელანდიის წინააღმდეგ გამართულ შესანიშნავ თამაშს. თქვენ მოახერხეთ მათი დაბნევა თამაშის ყველა კომპონენტში. ძალიან ლამაზი და სანახაობრივი მატჩი იყო, მიუხედავად ანგარიშისა. დიდ პატივს ვცემ ყველა „ბორჯღალოსანს“. წარმატებები მომავალ თამაშზე“.

ძრის მაძტაიპი (ინგლისი):

„ოლ ბლექსის“ წინააღმდეგ თქვენი თამაშით გაოცებული ვარ. ამ მატჩის შემდეგ ინგლისში ბევრი ემხრობა იმ აზრს, რომ თქვენ „ექვს ერში“ უნდა იყოთ.“

დეძს სტიუარტი (უელსი):

„მილოცავ უელსელებისგან – არაჩვეულებრივი სანახაობა იყო. ტაბლოზე ასახული ანგარიში არაფერ შუაშია, როცა ქართველებმა საკუთარი ქვეყანა ასე ამაყად წარმოადგინეს“.

სტივ ვინთლი (უელსი):

„მე „ბორჯღალოსნებით“ ამაყი უელსელი ვარ. გილოცავთ ამ ულამაზეს გამოსვლას. არცერთი გუნდის წინაშე არ მინახავს ახალი ზელანდია მოედანზე ასეთი დაბნეული. თითოეულმა „ბორჯღალოსანმა“ დიდი სულისკვეთებით ითამაშა. დიდი მადლობა თქვენგან მონიჭებული ემოციებისთვის და ასეთი ხარისხიანი თამაშისთვის. მჯერა თქვენი მომავალი პროგრესის. თქვენ ყველამ ძალიან უნდა იამაყოთ ამ მსოფლიო თასზე მიღწეული წარმატებით, განსაკუთრებით კი ზელანდიასთან მატჩით“.

◎ წყალბურთი

მეტოქეთა ვინაობა გაირკვა

საქართველოს წყალბურთელ ვაჟთა ნაკრებმა წლეულს წარმატებით იასპარეზა ევროპის ჩემპიონატის ორ საკვალიფიკაციო რაუნდში და კონტინენტის პირველობის ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება დაიმსახურა სხვა 15 ნაკრებთან ერთად. გადამწყვეტი პაექრობები გაისად 10-23 იანვარს სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში გაიმართება. ორგანიზატორებმა ეს 16 გუნდი წილისყრით ოთხ ქვეჯგუფში გაანაწილეს. საქართველო **C ჯგუფში** მოხვდა, სადაც მომდევნო ეტაპზე გასასვლელად იტალიას, რუმინეთსა და გერმანიას დაუპირისპირდება.

A ჯგუფი. ჩერნოგორია, ესპანეთი, ჰოლანდია, სლოვაკეთი.

B ჯგუფი. სერბეთი, ხორვატეთი, საფრანგეთი, მალტა.

D ჯგუფი. უნგრეთი, საბერძნეთი, რუსეთი, თურქეთი.

თამაზ პატარაია

საქმე №456-2015

საარბიტრაჟო დადგენილება

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შ.პ.ს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

2 ოქტომბერი 2015 წელი ქ. თბილისი

არბიტრი: ნანა ნებიერიძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ახალი კრედიტი“
საარბიტრაჟო მოპასუხე: თამაზ ბერიანიძე, გიორგი გიგაური, ნაზი კირთაძე

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება

არბიტრმა ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს მიერ 2015 წლის 6 ივლისს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ახალი კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხის თამაზ ბერიანიძის, გიორგი გიგაურისა და ნაზი კირთაძის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2015 წლის 16 აპრილს შპს „ახალი კრედიტი”-სგან მოპასუხე თამაზ ბერიანიძემ ისესხა 500 ლარის ოდენობით სესხი. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 2015 წლის 6 მაისი. სესხი სარგებლიანია. სარგებლის გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველდღიურად, რომლის ოდენობაც განისაზღვრება გაცემული თანხის 1%-ით.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა – ძირითადი თანხის 0.3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე აღსრულებამდე.

2015 წლის 16 აპრილს დადებული №10916 სესხის, გირავნობისა და თავდებობის ხელშეკრულების თანახმად, გიორგი გიგაურმა და ნაზი კირთაძემ აიღეს ვალდებულება მთლიანად იყვნენ პასუხისმგებელნი შპს „ახალი კრედიტი”-ს წინაშე თამაზ ბერიანიძის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხე თამაზ ბერიანიძეზე, გიორგი გიგაურსა და ნაზი კირთაძეზე გადახდის დაკისრება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ნაზი კირთაძეს ორჯერ გაეგზავნა მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა მისამართზე არ ყოფნის გამო.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ნაზი კირთაძეს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ნაზი კირთაძე მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ იმყოფება. ხოლო ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შ.პ.ს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს დებულებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ნაზი კირთაძეს (პირადი №55001007047) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს წარმოებაშია შპს „ახალი კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

2. ნაზი კირთაძეს განემარტოს, რომ

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ში, შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11**. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხე ნაზი კირთაძეს, რომ მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე ნაზი კირთაძეს (პირადი №55001007047), თამაზ ბერიანიძეს (პირადი №59001034464), გიორგი გიგაურს (პირადი №59001067092) ეცნობოთ, რომ 2015 წლის 26 ოქტომბერს 14:00 საათზე მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ში, შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11**, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ახალი კრედიტი”-ს სარჩელზე სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით თამაზ ბერიანიძის, გიორგი გიგაურისა და ნაზი კირთაძის მიმართ.

5. თამაზ ბერიანიძეს, გიორგი გიგაურსა და ნაზი კირთაძეს ეცნობოთ, თუ ისინი არ გამოცხადებიან საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულნი არიან არბიტრაჟს აცნობონ გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ნანა ნებიერიძე

საქმე №455-2015

საარბიტრაჟო დადგენილება

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შ.პ.ს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

2 ოქტომბერი 2015 წელი ქ. თბილისი

არბიტრი: ნანა ნებიერიძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ახალი კრედიტი“
საარბიტრაჟო მოპასუხე: ნუკრი მათიაშვილი, ირინა ქარსელაძე, მანანა მამიტაშვილი

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება

არბიტრმა ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს მიერ 2015 წლის 6 ივლისს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ახალი კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხის ნუკრი მათიაშვილის, ირინა ქარსელაძისა და მანანა მამიტაშვილის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2015 წლის 23 მარტს შპს „ახალი კრედიტი”-სგან მოპასუხე ნუკრი მათიაშვილმა ისესხა 500 ლარის ოდენობით სესხი. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 2015 წლის 7 აპრილი. სესხი სარგებლიანია. სარგებლის გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველდღიურად, რომლის ოდენობაც განისაზღვრება გაცემული თანხის 1%-ით.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა – ძირითადი თანხის 0.3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე აღსრულებამდე.

2015 წლის 23 მარტს დადებული №10466 სესხის, გირავნობისა და თავდებობის ხელშეკრულების თანახმად, ირინა ქარსელაძემ და მანანა მამიტაშვილმა აიღეს ვალდებულება მთლიანად იყვნენ პასუხისმგებელნი შპს „ახალი კრედიტი”-ს წინაშე ნუკრი მათიაშვილის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხე ნუკრი მათიაშვილზე, ირინა ქარსელაძეზე და მანანა მამიტაშვილზე გადახდის დაკისრება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ირინა ქარსელაძეს ორჯერ გაეგზავნა მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა მისამართზე არ ყოფნის გამო.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ირინა ქარსელაძეს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ირინა ქარსელაძე მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ იმყოფება. ხოლო ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შ.პ.ს „საარბიტრაჟო სასამართლო“-ს დებულებით

